# ბურჯი ეროვნებისა

975
1998



№4
1998

ბესარიონ
ჟღენტის
საზოგადოების
ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
გიორგი გოგოლაშვილი

მთავარი რედაქტორის
მოადგილე
იოსებ ჭუმბურიძე

პასუხისმგებელი მდივანი
კახა გაბუნია

რედაქტორები:
ციცინო (ნინო)
კვანტალიანი,
მარინე კიკონიშვილი,
ნანა ლოლაძე,
რამაზ ქურდაძე,
ნინო ჭუმბურიძე

მხატვრული რედაქტორი
ირაკლი ავალიანი

მხატვარი
გია ლაშხი

რედაქციის გამგე
მაია კობიაშვილი

სარედაქციო საბჭო
მარინე ბერიძე,
გენადი ბურჭულაძე,
ლეილა გეგუჩაძე,
ქეთევან დათუკიშვილი,
რუსუდან ლანდია,
ნანა ურთაშვილი,
ჭაბუკა ქირია,
მიხეილ ქურდიანი,
გიორგი წიბახაშვილი,
თამაზ ხმალაძე,
ნინო ჯორბენაძე

მორიგე რედაქტორი
ნინო კვანტალიანი

„ბურჯი ეროვნებისა“
რეგისტრირებულია საქართველოს
იუსტიციის სამინისტროში, 1686.
მისამართი:
პ. ინგოროყვას ქ. №8,
ტ. 99-80-46

ინდექსი 76016

## ერთ ქართველს

ქართველო მტერი ენაა?!–
ქართველი ქართველად ხსნასა,
ღვთისაა!
ძლიერისაა!
ზღვაა ოთხ!–
იმედისაა!

აკაკი წერეთელი

1878
აპრილი

# შინაარსი


**სახელმწიფო ენა**

გ. წიბახაშვილი – სახელმწიფო ენა ელის საქართველოს პრეზიდენტის თანადგომას ........ 2

**ო, ენავ ჩემო!...** ........ 3

**პრობლემა**

არ, შეიძლება, სადავო იყოს (რექტორთა საბჭო მსჯელობს ქართული ენის თაობაზე) ........ 4

**ადიდებს სული ჩემი უფალსა**

მეუფე დანიელი – რწმენა და ალმსარებლობა ........ 6

**გიორგი ახვლედიანი - 111**

პ. ბერეკაშვილი – დიდთა უბრალოება ........ 8

**ქართული ენის მოჭირნახულენი**

ვ. იმნაიშვილი – იოლანდა მარშევი ........ 9

**რა ენა ნახდეს...**

გ. შალამბერიძე – „სიტყვაში გამოვიდა“ თუ „სიტყვით გამოვიდა“? „ადგილი აქვს“ თუ „ხდება“? ........ 11

**აბიტურიენტის ფურცელი**

ლ. გეგუჩაძე – ქართული ენა ........ 12

თ. შარაბიძე – ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზია ........ 14

**პოეტური ისტორია**

თ. არაბული – „ხევსურნი ჯვარის მსახურნი არიან და ქრისტიანობას იხუმებენ“ ........ 16

**ნარსული კულტურის ენციკლოპედია**

ყურძნის შენახვა; ქსოვა ........ 18

**რეცენზია**

დ. გარდაფაძე – „ათას ერთი ღამის“ ქართული თარგმანის გამოცემის დამთავრების გამო ........ 19

**ნარდგენილია რუსთაველის პრემიაზე**

ბ. წიფურია – რ. მიშველაძის „ასი ახალი ნოველა“ ........ 20

**საყმაწვილო გვერდი**

ი. დემეტრაძე – ზოგი რამ დამწერლობის შესახებ ........ 22

თვეთა სახელწოდებანი ........ 23

**მტერობა ენის...**

ქ გოჩიტაშვილი – ვრთხილად, დოქტორებო, გისმენენ და გბაძავენ ........ 23

**ანაბანა**

მოვუსმინოთ პატარებს ........ 24

**მოსნრებული სიტყვა**

ვექილის პასუხი; ამაო დარიგება; უცნაური დავალება; მოხერხებული მყიდველი ........ 24


*გარეკნის III გვერდზე – „მე და ღამე“, ნახატი გია ლაშხის;*
*IV გვერდზე – ნ. ფიროსმანის ნახატი ლენინგრადის კოლექციიდან.*


ბურჯი ეროვნებისა

BURJI EROVNEBISA

№4

1998




*უმთავრესი ბურჯი ეროვნებისა გახლავთ სამშობლო ენა.*

**იაკობი**


გამოდის თვეში ერთხელ

ფასი 1 ლარი



საქართველოს ეროვნული

გიორგი ნიბახაშვილი

# სახელმწიფო ენა ელის საქართველოს პრეზიდენტის თანადგომას

ალბათ, აღარავინ დაიწყებს იმის უარყოფას, რომ დღეს ქართულ ენას უჭირს, როგორც მის ქვეყანას, მის ხალხს. ქვეყნისა და ხალხის ბედზე ლაპარაკი რჩეულთა მონოპოლიაა, ენის ხვალინდელ დღეზე კი გავბედავთ და ორიოდე მოსაზრებას გამოვთქვამთ.

პატარა ექსკურსია წარსულში: ენა ყოველთვის იზიარებდა თავისი ხალხის ბედს – ხან უჭირდა, ხან ულხინდა, მაგრამ ყოველთვის ინარჩუნებდა ერის აზროვნებისათვის აუცილებელ ენერგიასა და დინამიკურობას. მუდამ რჩებოდა ხალხის სულიერი და ზნეობრივი განვითარების მძლავრ და შეუცვლელ იარაღად, ეროვნული თვითშეგნების უმთავრეს სიმბოლოდ. რაოდენ ძლიერი უნდა ყოფილიყო შინაგანი კავშირი ქართველ კაცსა და ქართულ ენას შორის, რომ ათეული წლებით მშობლიურ ენობრივ სამყაროს მოწყვეტილი ნიკიფორე ირუბაქიძე, დავით გურამიშვილი, მამელუქები, უცხო სავანეებში მოღვაწე ბერები არამცთუ ივიწყებდნენ მშობლიურ ენას, არამედ შედევრებსაც კი ქმნიდნენ. ეს იმიტომ, რომ იმ დუხჭირ ეპოქებშიც ხალხს სჭირდებოდა საკუთარი დედაენა და კიდევაც ინახავდა ოფლის, სისხლის, სიცოცხლის ფასად, უფრთხილდებოდა და იცავდა, როგორც მიწას, ოჯახს, ღირსებას, თავმოყვარეობას. ეს არ არის პროვინციული პათეტიკა. ეს რეალობაა მდიდარი, თვითმყოფადი, დახვეწილი და დამუშავებული ენისა და ამ ენაზე შექმნილი უმდიდრესი ლიტერატურის სახით. დღევანდელი დღის ყველაზე შემაშფოთებელი სიმპტომი ის არის, რომ ენის შენახვის სურვილი და შემნახველი ენერგია აღარა ჩანს, თითქოს იგი მოდუნდა, თუ საერთოდ დაიწრიტა. თავის დროზე თითქმის წმინდა სამების რანგში აყვანილი ტრიადის – „მამული, ენა, სარწმუნოება" – სამივე წევრი დაშლის პროცესშია: „მამულს" რა დაემართა, ვიცით, „სარწმუნოება" წალეკა სექტათა მღვრიე ტალღებმა, მათგან უკეთეს (ჯერჯერობით!) მდგომარეობაშია ენა, მაგრამ მასაც შეუჩნდა თავისებური „კარიესი", რომლის წინააღმდეგაც ჯერჯერობით არაფერი კეთდება, გარდა იმისი მოთხოვნისა, რომ „საქართველოში მხოლოდ ქართული ენა უნდა ჟღერდეს". მართლაც, დიდი რიხით მოვუწოდებთ არაქართველებს, ისწავლეთ ქართული ენაო, საქმით კი რას ვუმტკიცებთ? შეხედეთ თბილისის ქუჩებსა და მოედნებს, საქართველოს გზებს, პრესის, ტელევიზიის პროდუქციას და პასუხი ცხადზე ცხადია: ჩვენ მათ ვასწავლით ინგლისურს, თურქულს, გერმანულს, ესპანურს და ა.შ. ოღონდაც არა – ქართულს. თითქოს ვიღაცა ბოროტად ანგლობს: რუსთაველის ძეგლს ოკუპანტთა პატრულივით ამოსდგომიან მარჯვნიდან და მარცხნიდან ორმეტრიანი ასოებით აშოტილი უცხოენოვანი რეკლამები, თითქოს ვიღაცა ნიშნს უგებს პოეტს – ესეც შენაო!

მაგალითები უამრავია – დღეს საჭიროა ამ მოვლენის სიღრმისეული მიზეზის მიგნება: როგორ, რამ გამოიწვია უცხოური რეკლამით ასე გატაცება, უცხოენოვან სკოლებში ბავშვების ასეთი ტოტალური მობილიზაცია, ასიათასობით აქტიური მკლავისა და ტვინის უცხოეთში გახიზვნა. თუ ასე გაგრძელდა, ქართულად მოლაპარაკენი აღარ გვეყოლებიან და პრობლემაც მოიხსნება. ამ სამივე კითხვას ერთი პასუხი აქვს – ფულის უსასტიკესი კულტის ჩამოყალიბება, რომელიც ყველა ღმერთზე, ყველა რწმენაზე და ყველა ზნეობაზე მაღლა დგას, ყველაფერს განაგებს, განაპირობებს და ამართლებს. აკი ახალი აფორიზმიც შეიქმნა: ჩვენს დროში ერთადერთი უზნეობა ბიზნესში ხელის მოცარვააო.

ათასობით ბავშვის უცხო ენაზე აღზრდა, ასიათასობით (ამბობენ, ერთი მილიონიაო) შრომისუნარიანი მოქალაქის მსოფლიოში გაფანტვა დღესაც და განსაკუთრებით ხვალ ქართული ენის მომხმარებელთა კატასტროფულ შემცირებას გამოიწვევს. გვემშვიდობებიან: განათლებას მიიღებენ და უკანვე დაბრუნდებიანო. ნეტავ არიან მორწმუნენი! სხვა ვინ დაბრუნებულა, რომ ესენი დაბრუნდნენ? ქართულმა ენამ ისინი სამუდამოდ დაკარგა. ხუთი მილიონიდან ერთი მილიონი მოლაპარაკის დაკარგვა კი ტრაგედიაა. ასე დაყრუვდა და დამუნჯდა ერთ დროს ჟღერადი და მოდური ლოზუნგი: „საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი?!" თურმე ცდებოდა პოეტი. ცხოვრება ჩაგვძახის, რომ საქართველოს ბევრი ჰყოლია დასაკარგავი შვილი და აკი ქართული გულუხვობით ფანტავს კიდევაც მათ.

„თქვენ გელით ამერიკა!" – მოგვძახის ყოველ ნაბიჯზე აკიდებული პლაკატი. როგორ გველიან „იქ", ეს უკვე ვიცით თუნდაც ამასწინათ იტალიაში დატრიალებული ტრაგედიით. მაგრამ ვიღაცას სჭირდება, რომ ქართველმა კაცმა მოუსავლად იხეტიალოს უცხოეთში, როგორც უუფლებო იაფმა მუშახელმა, რომლის გამოგდებაც ადვილია, დასჯაც და გაყიდვაც, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

ერთი შეხედვით, ყველაფერი ეს ხდება ქაოტურად.

შემთხვევითობათა ჩახლართვის გამო და ზოგჯერ პიროვნების თავისუფლების ეტალონადაც კი მიიჩნევა. მე კი ვფიქრობ, რომ ამ პროცესებს ოსტატურად მართავს ძლიერი და მდიდარი ძალა, რომელიც ყველაფერს აკეთებს, რომ საქართველო იქცეს ათასი ჯურის მოხელეთა სათარეშო და საპარპაშო სივრცედ, სადაც ქართული ენის როლი ნოლის ტოლი იქნება. სამაგიეროდ შეუფერხებლივ გაგრძელდება ქვეყნის გაძარცვა, გაყიდვა, დამცირება, ხალხის აბუჩად აგდება და უცხოელთა ინტერესების მსახურად გადაქცევა. ასეთ პირობებში ენისათვის, ცხადია, არავის ეცლება.

ჩვენ დიდ პატივს ვცემთ დიდი კულტურისა და ლიტერატურის ენებს – ინგლისურს, გერმანულს, ფრანგულს და სხვა. ამიტომ ჩვენი პროტესტი მიმართული არ არის მათ წინააღმდეგ. საშინელია ეგრეთწოდებული დოლარის ენის მოძალება, რომელშიც ერთადერთი და ყველასათვის გასაგები სიტყვა ბატონობს – ფული, რითაც ყველაფრის ყიდვა შეიძლება – სიმდიდრის, სიყვარულის, ავტორიტეტის, სამართლის, ჯანმრთელობის, განათლების, სიკვდილის იარაღისა და მკვლელის.

ქართული ენა ქართული რეკლამის ენა არ არის. იგი ძალიან წააგავს მოსყიდული მსაჯის მიერ მინდვრიდან უსამართლოდ გაძევებულ მოთამაშეს, რომლის აღშფოთებასაც არავინ არ აქცევს ყურადღებას. თქვი – არა თქვი, ვერავის ვერაფერს გააგონებ. თუ დოლარის ენასა და ფსიქოლოგიას არ ემორჩილები – ქართულ ენას, ცხადია, არავინ იყიდის, სამაგიეროდ ქართული ენის საუფლო სივრცეს ბევრი ეტანება. ეს არის მთავარი საფრთხე და არა წინადადებაში სასვენი ნიშნის არასწორად დასმა – ქართული ენის კუთვნილი სივრცე, ჩვენდა სამწუხაროდ, უკვე ქართულს აღარ ეკუთვნის. თუ ვინმეს არა სჯერა, კვლავ გირჩევთ, გაიაროთ თბილისის ქუჩებში.

ცნობილია, რომ ჩვენთან დამკვიდრდა საბაზრო ეკონომიკის მანტიაში გახვეული ყაჩაღური ეკონომიკა, რომელმაც ენის მთავარი პატრონი და მომხმარებელი – ხალხი ისეთ დღეში ჩააგდო, რომ ენა ფაქტობრივად აღარ სჭირდება, რადგანაც ტირილს, კვნესას და სასოწარკვეთას სიტყვები არ უნდა. შეხედეთ, რა წიგნები იყიდება ძალიან იაფად (ჩამოფასებით) და მაინც არავინ ყიდულობს, იხვეწებიან. შეიძინეთ შოთას, ილიას, ვაჟას, ანა კალანდაძის წიგნებიო. სამაგიეროდ დიდ მოდაშია ბინძური ენით აღწერილი სიბილწე. ესეც ენის ხარჯზე ხდება.

ვიღაცა, ვინც დღევანდელი ბიზნესით გამდიდრდა, სოციალიზმის ნოსტალგიას დამწამებს და იქნებ „მეხუთე კოლონადაც" გამომაცხადოს. მაგრამ ამით არც უთვალავი Marlboro გაქრება და არც თურქული Okul devteri, რომლის ყდაზეც გამოხატულია რომელიღაც თურქი მხატვრის სურათი „თბილისის აღება თურქების მიერ".

ვიღაც იკითხავს, ენაზე ლაპარაკობ თუ საბაზრო ეკონომიკაზე? ენაზე ვლაპარაკობ, რომლის ბედიც ასე ჩახლართა საზოგადოების ეკონომიკური, ზნეობრივი, კულტურული, პოლიტიკური ცხოვრების თანამედროვე ყაიდასა და ტენდენციებს და ჩვენი ყოფის ერთ-ერთ სატკივრად იქცა.

მართლაც ყველაფერი ისე ჩაიხლართა, რომ ამ ხლართის გახსნას ლეგენდარული პირი თუ მოახერხებს. სადღეისოდ კი, სადღეისოდ გამოვიყენოთ გამოთქმა „ქართული ენის დაცვა" და ვცადოთ ენის დაცვა ამ სიტყვის უმარტივესი გაგებით – კანონის ძალითა და ჭირისუფლის უფლებით, როგორღაც ავლაგმოთ უცხოენოვანი რეკლამის ურდოების შემოსევა და ქართული სივრცე ქართულ ენას დავუბრუნოთ. ამით რეკლამის ფუნქცია არ დაირღვევა, რადგანაც თუ ვინმე კითხულობს – კითხულობს ქართულად. სივრცისათვის გაბრძოლება არ მოეწონებათ არა რეკლამის მომხმარებლებს, არამედ იმ მდიდარ დამკვეთებს, რომლებზედაც უკვე ვთქვით.

ვის შეუძლია ამის გაკეთება, ანუ საქართველოში რეკლამის ქართულად ამეტყველება? პარლამენტს? – არა. მთავრობას? – არა, ათასნაირ კომპანიებსა და დეპარტამენტებს? – არა, რადგანაც მათგან ბევრი თვითონ არის გარეული ამ უმადურ საქმეში. არც ინტელიგენციას შეუძლია საქმის რეალურად დაძვრა ადგილიდან, რადგანაც დღეს მას, ინტელიგენციას, ლაპარაკის გარდა რაიმე ილაჯი არა აქვს. დარჩა ერთი ძალა, ერთი კაცი, რომელსაც ძალაც შესწევს და სურვილიც ნამდვილად აქვს. ეს არის ქვეყნის პრეზიდენტი. მაინც ყველაფერზე – ავზე და კარგზე – ის აგებს პასუხს. იტვირთოს ენის ბედიც იქნება მოხერხდეს და ქართული სივრცე ქართულ ენასა და ქართულ რეკლამას დაუბრუნდეს.

ეს სასიკეთო დასაწყისი იქნებოდა და კარგი გაფრთხილება მათთვის, ვინც მზად არის, ყველაფერი ფულად აქციოს – თვით შოთა რუსთაველის სახელის ჩათვლით.

**ო, ენავ ჩემო...**



პრობლემა

# არ შეიძლება, სადავო იყოს

## რექტორთა საბჭო მსჯელობს ქართული ენის თაობაზე



1998 წლის 16 იანვარს ბ. ჯორბენაძის საზოგადოებამ მიმართვა გაუგზავნა რექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს, აკადემიკოს როინ მეტრეველს; მიმართვა გამოქვეყნდა ჟურნალში „ბურჯი ეროვნებისა" (№1. 1998 წ.). მასში საუბარი იყო უმაღლეს სასწავლებლებში ქართული ენის, როგორც სასწავლო საგნის, მდგომარეობაზე. ყურადღება სამ საკითხზე გამახვილდა:

1. ბარდება თუ არა მისაღებ გამოცდებზე ქართული ენა და ლიტერატურა;

2. როგორ ფასდება აბიტურიენტთა ცოდნა მისაღებ გამოცდებზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში?

3. ისწავლება თუ არა ყველა უმაღლეს სასწავლებელში საგანი – ქართული ენა.

შესაბამისად, ბ. ჯორბენაძის საზოგადოებამ თხოვნით მიმართა რექტორთა საბჭოს, მსჯელობის საგნად ექცია აქ დასმული საკითხები და მიელო საჭირო გადაწყვეტილება; წინადადებებიც შევთავაზეთ: „ა) ყველა უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე სავალდებულო საგნად აღდგეს წერითი გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში; ბ) ქართულ ენასა და ლიტერატურაში აბიტურიენტთა ცოდნის დონის შეფასება მოხდეს ქულათა ისეთივე რაოდენობით, როგორც ეს ხდება სხვა საგნებში; გ) ყველა სახის უმაღლეს სასწავლებელში, ყველა სპეციალობაზე სავალდებულო სასწავლო საგნად აღდგეს ქართული ენა".

1998 წლის 19 მარტს გაიმართა რექტორთა საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილეს აღნიშნული მიმართვა. განხილვაში მონაწილეობდნენ პროფ. რ. ხუროძე (ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი), პროფ. ნ. ქარქაშაძე (აგრარული უნივერსიტეტის რექტორი), პროფ. ვ. სართანია (თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორი), პროფ. ი. მოსიძე (დასავლეთევროპულ ენათა და კულტურათა ინსტიტუტის რექტორი), პროფ. გ. ჟორდანია (თეატრისა და კინოს ინსტიტუტის რექტორი), პროფ. ნ. გაბუნია (სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი), პროფ. ი. ქოიავა (სამხატვრო აკადემიის რექტორი), პროფ. ზ. კახიანი (ექიმთა დიპლომების შემდგომი განათლების სამედიცინო აკადემიის რექტორი), შ. გოროძე (შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის უფროსი), გ. მათიაშვილი (საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილე). გამომსვლელები ერთსულოვანნი იყვნენ იმ საკითხში, რომ ქართული ენა და ლიტერატურა ყველგან უნდა ისწავლებოდეს და ყველგან უნდა იყოს უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდათა ნუსხაში. საპირისპირო აზრი გამოთქვა პროფ. ნ. ქარქაშაძემ, რომელმაც ქართულში მისაღები გამოცდის მოხსნა მისაღები კონტინგენტის სიმცირით გაამართლა; მისი აზრით, სასწავლო გეგმაში ქართული ენის შეტანა სირთულესთან არის დაკავშირებული: „რომელი საგნის ნაცვლად უნდა შევიტანოთო". ამის საპასუხოდ ითქვა, რომ ქართულ ენას თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს სასწავლო გეგმაში, იგი არავის ნაცვალი არ არის; ქართული ენის უცოდინარი კაცი, ბუნებრივია, სხვა საგანსაც ვერ ისწავლის; ასე რომ, კონტინგენტის სიმცირე გამართლებად არ გამოდგება. სხდომამ გაიზიარა პროფ. ი. ქოიავას (სამხატვრო აკადემია) აზრი, რომ სპეციალობასა და ზოგადსაგანმანათლებლო საგნებში შეფასების კრიტერიუმი შეიძლება განსხვავებული იყოს. უცხოეთში მივლინების გამო სხდომას ვერ ესწრებოდა სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფ. რ. ხეცურიანი, რომელსაც დაბრუნების შემდეგ შევხვდით; მისი თქმით, სამედიცინო უნივერსიტეტი მხარს უჭერს ბ. ჯორბენაძის საზოგადოების წინადადებებს.

**სხდომა შეაჯამა რექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა.**

(ვბეჭდავთ მის სიტყვას მცირეოდენი შემოკლებით)

მინდა ვთქვა, რომ საკითხი, რომელიც ამ მშვენიერმა ჟურნალმა წამოჭრა, არის სრულიად მართებული და მწვავე. საკითხის ასე დასმას გაგებით უნდა შევხვდეთ: ვთვლი, რომ, რაც უფრო კეთილმოსურნედ, კეთილკრიტიკულად იქნება საზოგადოება რექტორთა საბჭოს მიმართ განწყობილი, საქმისთვის უკეთესია. ბატონ გ. გოგოლაშვილს შეეძლო უფრო მაღალი ინსტანციე-

ბისათვის მიემართა, მაგრამ ჩვენ რომ მოგვმართა, ეს ნიშნავს, ენდობა რექტორთა საბჭოს, ენდობა ჩვენს ავტორიტეტს და ამისთვის მადლობას მოვახსენებ. ეს ზოგადად; ახლა მთავარი:

მე სრულიად მიუღებლად მიმაჩნია ყოველგვარი საპირისპირო მტკიცება: ქართული ენა და ლიტერატურა უნდა იცოდეს ყველამ, ისევე როგორც საქართველოს ისტორია. ეს საგნები არ შეიძლება გავათანაბროთ არც მათემატიკასთან, არც ფიზიკასთან და არც სხვა საგანთან. ეს არის აუცილებელი ადამიანისათვის. არ იცის ქართული? არ უნდა მივიღოთ უმაღლეს სასწავლებელში, თუკი ჩვენ გვინდა ვიყოთ უნივერსიტეტი. გვერქვას უნივერსიტეტი. რაგინდ მცირე კონკურსიც იყოს, არ შეიძლება უმაღლეს სასწავლებელში წერა-კითხვის უცოდინარი ხალხი მივიღოთ. ამას უნდა შევეგუოთ. ასეთი „სპეციალისტები" საქართველოს არ სჭირდება. ყოველგვარი საპირისპირო აზრის მტკიცება აბსურდია. ასე რომ, საკითხის დასმა არის აბსოლუტურად სწორი; თუმცა, როგორც ჩანს, უნდა გავითვალისწინოთ შემოქმედებითი უმაღლესი სასწავლებლების სპეციფიკა და შეფასების კრიტერიუმების საკითხი იქ, შესაძლოა, სხვაგვარად გადაწყდეს...

რატომ არის დროული საკითხის დასმა და რატომ არის აუცილებელი ამ წინადადებების მიღება: ბატონებო, უცხოურმა წაგვლეკა. დღეს უარეს დღეში ვართ, ვიდრე მაშინ, როცა რუსეთის გავლენის ქვეშ ვიყავით. დიახ, დღეს ყოველნაირად მძიმე დღეში ვართ: პოლიტიკურად, ენობრივად... უხილავად მუშაობს მთელი სისტემები, ისე ტექნიკურად შემოაქვთ ეს უცხოური, ისე მკვიდრდება, ჩვენ ვერც ვიგებთ; რუსეთი ღიად, უხეშად მუშაობდა, პირდაპირ გვაძალებდა... ცუდად არ გამიგოთ: უცხოური ენაც და კულტურაც საჭიროა, მაგრამ მას თავისი ადგილი უნდა მივუჩინოთ... უნდა გვახსოვდეს, რომ ქართული ენა და ლიტერატურა არის უპირველესი.

აქ საუბარი იყო სკოლის თაობაზე, სკოლას რომ უჭირს დღეს, ფაქტია, მაგრამ ეს ჩვენ არ გვიხსნის პასუხისმგებლობას, პირიქით. მაგრამ ხომ ფაქტია ისიც, რომ ჩვენთან შესანიშნავი, ბრწყინვალე ბავშვები მოდიან. ისინი უდავოდ, კარგ მოქალაქეებად გაიზრდებიან, არ შეიძლება სხვანაირად. აქა ვართ ყველა რექტორი და ასეთი რამ გავაკეთოთ წელს: შევისწავლოთ წერითი გამოცდების შედეგები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, გავაანალიზოთ, რა გვაქვს უარყოფითი და მივაწოდოთ ჩვენი აზრი სკოლებს არა იმისთვის, რომ განვაქიქოთ, არამედ ამ საკითხთან დაკავშირებით კონსტრუქციული წინადადებები მივაწოდოთ სკოლებს; დავეხმაროთ მათ, რომ შემდგომ უნივერსიტეტში ქართული ენის უკეთესი მცოდნე მოვიდეს.

დავა იმის თაობაზე, რომ ქართულ ენასა და ლიტერატურას ყველგან უნდა ვასწავლიდეთ, მიმაჩნია აბსურდად. რას ვასწავლით ჩვენ უმაღლეს სკოლაში? - მეტყველების კულტურას. შეიძლება უამისოდ ვზრდიდეთ მასწავლებლებს, აგრონომებს, ინჟინრებს, ექიმებს? ვზრდით იმისთვის, რომ ვიღაცას რაღაც უთხრას და ასწავლოს; ყრუ-მუნჯთა სკოლისთვის ხომ არ ვამზადებთ კადრებს? სკოლაზე გადაბრალება, იქ ვერ ასწავლეს კარგად, საქმეს არ უშველის; საქმე ჩვენ უნდა გამოვასწოროთ; ამაზე უნდა ვიფიქროთ.

თუ ჩვენ მოთხოვნებს გავზრდით მისაღებ გამოცდებზე, სხვაგვარად, რაც უფრო მაღალი თამასა გვექნება და მაღალი კრიტერიუმები, შედეგები უკეთესი იქნება; დამერწმუნეთ, მაშინ უკეთესი აბიტურიენტი მოვა, აი, ისეთი, როგორიც საჭიროა. არის შემთხვევები, როცა ცალკეულ ფაკულტეტებზე, ცალკეულ სპეციალობებზე კონკურსი არ არის; უჭირთ იქ ქართული წერა და მისაღებ გამოცდებს ქართულის ხარჯზე ვამარტივებთ... საზღვარგარეთის რომელ ქვეყანაში მიიღებენ იმ ქვეყნის ენის უცოდინარ კაცს? სად აკეთებენ ასე, ჩვენთან რომ ხდება? უარი უნდა ვთქვათ ასეთ კონტიგენტზე, რაგინდ სირთულეებიც გვექმნებოდეს. მე ჩემი მხრივ ასე გავაკეთებ და გთხოვთ, ვიფიქროთ ყველამ და წელს გავაკეთოთ ამგვარად. ვფიქრობ, ეს ძალზე მნიშვნელოვანია.

აქ ბატონმა შ. გორგოძემ დასვა საკითხი იმის შესახებ, რომ არაქართველი კონტიგენტისათვის ქართული ენა ვერ იქნება სწავლების ენა. ასეთ შემთხვევაში უნდა იყოს მოსამზადებელი განყოფილება, სადაც ისწავლიან ქართულს იმ დონეზე, რომ შემდგომ შეძლონ ლექციების ქართულ ენაზე მოსმენა. ამას ჩვენს უნივერსიტეტში ვაკეთებთ. უცხოელებს ვასწავლით ქართულს მოსამზადებელ განყოფილებაზე და შემდეგ ჩავრიცხავთ სტუდენტებად. ვიმეორებ, ერთი წელი საკმარისია, რომ მან ისწავლოს სახელმწიფო ენა. დიახ, კონსტიტუციით ქართული სახელმწიფო ენაა და იგი ყველამ უნდა იცოდეს.

მე მინდა, მადლობა მოვახსენო ბ. ჯორბენაძის საზოგადოებას ამ საკითხების ჩვენს წინაშე დასმისთვის. მინდა შევთანხმდეთ: დავეკითხოთ ჩვენსავე საბჭოებს, ენის კათედრებს, შესაბამის ფაკულტეტებს და მივიღოთ ისეთი გადაწყვეტილება, როგორსაც იმსახურებს ის საგანი, რომლის თაობაზეც აქ იყო მსჯელობა. ჩემი ღრმა რწმენით, ქართულ ენასა და ლიტერატურაში მისაღები გამოცდები ყველგან უნდა იყოს. ეს საგანი ყველგან უნდა ისწავლებოდეს; ზოგადსაგანმანათლებლო საგნებში შეფასების კრიტერიუმებიც ერთგვარი უნდა იყოს. მოკლედ, ჩვენს მომავალ საბჭოებზე განვიხილოთ ეს საკითხები და თუ რაიმეა დასაზუსტებელი, დავაზუსტოთ.

**მასალა მოამზადა გ. გოგოლაშვილმა**



*საზოგადოების ერთი ნაწილი ასე ფიქრობს: არ არის აუცილებელი ეკლესიაში სისტემატური სიარული. მთავარია გვწამდეს ღმერთი და დავანთოთ სანთლები.*

*ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსს მეუფე დანიელს მივმართეთ კითხვით: რატომ არის აუცილებელი, ვიყოთ ეკლესიურნი?*

# რწმენა და აღმსარებლობა

რწმენა, საეკლესიო მოძღვრების მიხედვით, არის დაჯერება უხილავისა. უხილავი სამყაროს შესახებ არსებობს განსხვავებული წარმოდგენები. ჭეშმარიტ ცოდნას სულიერი სამყაროს შესახებ ადამიანებს გვაძლევს თვით სამყაროს შემოქმედი. ასეთ ცოდნას გამოცხადებითი ცოდნა ჰქვია. ყველა სხვა დანარჩენი შეხედულება თუ წარმოდგენა, რომელსაც აქვთ აბსოლუტური ჭეშმარიტების პრეტენზია, ადამიანური გონების ნაყოფია და, ამდენად, სრულად ვერ გამოხატავს უხილავი სამყაროს სურათს. რწმენის მცნებაში უნდა განვასხვავოთ, ერთის მხრივ, ადამიანის უნარი განიცადოს უხილავი სამყარო, და მეორეს მხრივ, შინაგანი აღლო – გაარჩიოს გამოცხადებითი ცოდნა ადამიანური შემოქმედებისაგან. მეორე ნიშნის საფუძველზე რწმენა შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან არაჭეშმარიტი. ჭეშმარიტი რწმენა გვასწავლის ღვთაებრივი სამყაროს რაობას და ამავე დროს მასთან დაკავშირების გზებს.

ჭეშმარიტი ცოდნა ღვთის შესახებ არ მოგვიტანს არავითარ სარგებლობას, თუ ჩვენ მის საფუძველზე არ დავამყარებთ კავშირს ზეცასთან. „სარწმუნოებად თვნიერ საქმეთაჲსა მკუდარ არს" (იაკობ 2.20) ამბობს მოციქული იაკობი.

აღმსარებლობა ეწოდება ადამიანის კავშირს ღმერთთან. ჭეშმარიტი და არაჭეშმარიტი რწმენის შესაბამისად არსებობს სწორი და არასწორი აღმსარებლობა. ქრისტიანული სარწმუნოება საღვთო გამოცხადებაზე დაფუძნებული ჭეშმარიტი სარწმუნოებაა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეკლესიის ისტორიაში იყო შემთხვევები, როდესაც საღვთო მოძღვრებაში ხდებოდა ადამიანური გონების მიერ ცვლილებების შეტანა. უფალი და მოციქულები გვაფრთხილებდნენ ამის შესახებ. მოითხოვდნენ ჩვენგან არ აჰყოლოდით ასეთი ადამიანების ქადაგებას და მტკიცედ დაგვეცვა სჯულის სიწმინდე.

ამგვარი გადახრების შედეგად ქრისტეს ჭეშმარიტ ეკლესიას გამოეყო სხვადასხვა მიმდინარეობა. მათ მიერ არაჭეშმარიტ საფუძველზე დამყარებული კავშირი ღმერთთან, ანუ აღმსარებლობა, ბუნებრივია, არ არის სწორი. ქრისტეს ჭეშმარიტ და განუყოფელ ეკლესიაში შენარჩუნებული სწორი აღმსარებლობის აღსანიშნავად შემოღებული იქნა ტერმინი მართლმადიდებლობა. ღვთის დიდება, ანუ თაყვანისცემა ღმერთთან კავშირის ხათავე და საფუძველია. ღვთის დიდება და აღმსარებლობა, ფართო გაგებით, სინონიმებია. ვადიდებ, ესე იგი ვაღიარებ, და პირიქით. მართლმადიდებლობა, ანუ მართალი აღმსარებლობა არის ჩვენი მეგზური საუკუნო ნეტარი ცხოვრებისაკენ მიმავალ გზაზე. მასთან განშორება უკუნეთ წყვდიადში დანთქმას ნიშნავს. იგი არის უმთავრესი საუნჯე ღვთისმოყვარე ადამიანისა. ჩვენ მას თვალისჩინივით უნდა ვუფრთხილდებოდეთ.

მართლმადიდებლობის დაცვა ორი უმთავრესი პირობის შესრულებასითხოვს. პირველი, ეს არის ჭეშმარიტი საღვთო მოძღვრების ცოდნა და მისი წმიდათა წმიდა საფუძვლების კაცობრივი გონებისაგან შეუბღალავი სახით შენარჩუნება. ქრისტიანული ეკლესიის დაარსების პირველივე დღეებიდან მიმდინარეობდა შეურიგებელი ბრძოლა საღვთო მოძღვრების სიწმინდის დასაცავად. მსოფლიოს 7 საეკლესიო კრებისა და მრავალი ადგილობრივი კრების უპირველესი მსჯელობისა და ცხარე კამათის საგანი იყო საღვთო სწავლების შეურყვნელობა და სიმტკიცე. ქრისტიანული სარწმუნოებისათვის წამებულთა გვერდით ეკლესიის დიდებასა და სიამაყეს წარმოადგენს მართლმადიდებლობისათვის დევნილთა და გვემულთა მრავალრიცხოვან აღმსარებელთა დასი.



მეორე პირობა მართლმადიდებლობის დაცვისათვის გახლავთ ჭეშმარიტ სწავლებაზე დაფუძნებული კეთილმსახური და წმინდა ცხოვრება.

რა ფასი ექნება ჩვენთვის სასუფევლისაკენ მიმავალი ჭეშმარიტი გზის ცოდნას, თუ ჩვენ არ ვისარგებლებთ ამ მაცხოვნებელი საშუალებით?

მართლმადიდებლობა, როგორც აღმსარებლობა, წარმოადგენს ღმერთთან ადამიანის ურთიერთობის უფაქიზეს კულტურას. ჩვენ ხშირად ვფიქრობთ იმის შესახებ, თუ რამდენად დიდი სიფრთხილე გვმართებს ადამიანებს ურთიერთის მიმართ გვსურს, ალერსიანი ხელით ვანსაღოთ და კეთილშობილი თვისებები. მძიმე განუცდით ადამიანურ დაღლატს, სისასტიკეს, აღვფრთოვანებული ვართ რჩეულ პიროვნებათა სათნოებებით. ადამიანური ურთიერთობის სწორად წარმართვაზე დიდად არის დამოკიდებული ჩვენი ბედნიერება. მთელი ცხოვრების მანძილზე ადამიანები ვცდილობთ დავხვეწოთ ჩვენი პიროვნული თვისებები, რათა მივაღწიოთ ერთმანეთთან ჰარმონიულ ურთიერთობას.

თუკი ადამიანთან ურთიერთობა მოითხოვს ჩვენგან ესოდენ დიდ ყურადღებასა და ენერგიას, რაოდენ უფრო სერიოზული და საპასუხისმგებლოა ურთიერთობა თვით სამყაროს შემოქმედთან.

ეკლესიური აღზრდის გარეშე მცხოვრები ადამიანი ისეთივე გაუცხოებული და უხეშია ღვთის მიმართ, როგორც ოჯახური აღზრდის გარეშე დარჩენილი კაცი კულტურულ საზოგადო-

ებაში.

საქართველოში ეკლესიური კულტურა უმაღლეს დონეზე იყო აყვანილი. სულმნათი წინაპრების მადლი დღესაც ასაზრდოებს ჩვენს სარწმუნოებას. მაგრამ მხოლოდ წინაპრების მადლი არ გვეყოფა განადგურების პირას მიყვანილი ჩვენი საეკლესიო ცხოვრების აღორძინებისათვის.

ეკლესიური ცხოვრების წესი ღვთივდადგენილი და კურთხეული წესია. მისი აღსრულებით ადამიანი ხდება ტაძარი სულისა წმიდისა, სადგური სათნოებისა, ბურჯი სარწმუნოებისა, წყარო ღვთაებრივი სიცოცხლისა და სიყვარულისა.

„მე ვარ გზაჲ და მე ვარ ჭეშმარიტებაჲ და ცხორებაჲ", ბრძანებს უფალი. „არავინ მოვიდეს მამისა, გარნა ჩემ მიერ" (იოანე 14,6).

სადვთო სწავლების მიხედვით ეკლესია არის სხეული ქრისტესი იგია სწორედ ის გზა, რომლის გარეშეც ვერავინ მივა ზეციერ მამასთან.

ზეციერი მამის წინაშე ჩვენი მოვალეობის აღსრულება ღვთისმსახურებას წარმოადგენს. ამიტომაც ყოველი ქრისტიანი ღვთისმსახურია, მიუხედავად იმისა, სასულიერო პირია იგი თუ არა. რელიგიური რიტუალების შესრულება სავალდებულოა ეკლესიის ყველა წევრისათვის, ოღონდ, რასაკვირველია, საეკლესიო იერარქიის შესაბამისად, განსხვავებული სიხშირითა და ხარისხით.

ღვთისმსახურება აღამ და ევადან მომდინარე უმდიდრესი ფორმებისა და მიუწვდომელი საიდუმლოებების შემცველელი კულტურაა.

სადვთისმსახურო რიტუალების მრავალფეროვანი სისტემა შეიძლება დაიყოს ორ ძირითად სახეობად. ესენია- ლოცვა და მარხვა.

პირველის მიზანია ღვთივკურთხეული წესის საფუძველზე უფლისაგან ღვთაებრივი მადლისა და წყალობის გამოთხოვა. მეორესი კი, ღვთაებრივი მადლისა და წყალობის მისაღებად პიროვნების შინაგანი სამყაროს მომზადება, ანუ განწმენდა.

სახარებაში ბოროტი სულის შესახებ უფალი ბრძანებს: „ხოლო ესე ნათესავი არარაჲთ განვალს, გარნა ლოცვითა და მარხვითა" (მათე 17,21). საეკლესიო სწავლების მიხედვით ლოცვა შედარებულია თესვასთან, მარხვა კი, ნიადაგის მომზადებასთან. სათესი მარცვალი არის მადლი ღვთისა. თუ მარცვალი არ მოხვდა გაპოხიერებულ ნიადაგზე, იგი წარწყმდება. ფუჭია ლოცვა მარხვის გარეშე, რადგანაც, თუ ლოცვის შედეგად გარდამოსული მადლი არ მოხვდება განწმენდილ გულში, იგი ნაყოფს არ გამოიღებს. ასევე, თუ ჩვენ მოვამზადებთ ნიადაგს, მაგრამ არ დავთესავთ მასში მარცვალს, მიწა უნაყოფო დარჩება. როგორც ლოცვა მარხვის გარეშე უშედეგოა, ასევე განწმენდილი გული ღვთის მადლის გარეშე ვერ მოგვიტანს ვერანაირ სარგებლობას.

ლოცვა ღვთის მადლის მოხვეჭაა, მარხვა-ადამიანური ძალისხმევის გამოვლენა. ჭეშმარიტი ღვთივკურთხეული ცხოვრება შეუძლებელია ამ ორი ძალის გაერთიანების გარეშე. ღვთისმეტყველებაში ამ ორი ძალის გაერთიანებას **სინერგია** ეწოდება. იქ სადაც ირღვევა ეს კავშირი, ირღვევა ჰარმონია და მშვიდობა. არიან ადამიანები, რომლებიც ლოცულობენ ეკლესიაში, მაგრამ ნაკლებად ზრუნავენ პირადი ცხოვრების სრულყოფაზე. ასეთ ადამიანებს უფალი **ფარისევლებს** უწოდებს. გაცილებით უფრო დიდია ცოდვა, როდესაც ადამიანი აკეთებს სიკეთეს საკუთარ ძალებზე დაყრდნობით და არ მიიჩნევს აუცილებლად ღვთის შეწევნას. ამ ცოდვას ღვთისათვის თავის გატოლება, ანუ **ამპარტავნება** ჰქვია.



„მე ვარ ვენაჴი და თქუენ რტონი", ბრძანებს უფალი. „რომელი დაადგრეს ჩემ თანა და მე მის თანა, ამან მოიღოს ნაყოფი მრავალი, რამეთუ თჳნიერ ჩემსა არარაჲძალ-გიც ყოფად არცა ერთი" (იოანე 15,5).

მართლმადიდებლური სწავლების სიწმინდის დაცვა არ ამოიწურება მხოლოდ იმით, რომ ჩვენ არ გავიზიარებთ მცდარ შეხედულებებს. თუ ჩვენ არ ვიცხოვრებთ ეკლესიის წიაღში, დროთა განმავლობაში ვეღარ შევძლებთ ჩავწვდეთ მართლმადიდებლობის არსს და ჩვენდა უნებურად, აღმოვჩნდებით გაუცხოებული ჭეშმარიტების მიმართ. ასეთ დროს ადამიანში ყალიბდება ინდივიდუალური დამოკიდებულება საეკლესიო წესების მიმართ, რის გამოც სულ უფრო და უფრო მერყევი ხდება მისი სარწმუნოება. მართლმადიდებლური ჭეშმარიტებების დამცველნი მაღალი სულიერების ქრისტიანები იყვნენ. დღეს ჩვენ ვართ მოწმე იმისა, თუ როგორ იკიდებს ფეხს უცხო სწავლებები ოცსაუკუნოვან მართლმადიდებელ ერში. ამის უმთავრესი მიზეზია ჩვენი არაეკლესიურობა. ჩვენი დაბალი სულიერება და შერყეული ზნეობრივი სიმტკიცე. საეკლესიო ცხოვრებასთან დაცილებამ გამოიწვია მართლმადიდებლურ სულისკვეთებაზე დაფუძნებული ეროვნული ცნობიერების რღვევა. შერყეულია ისტორიულად გამორჩეული წმიდათაწმიდა იდეალები: ოჯახის მთლიანობა, ცოლ-ქმრული ერთგულება, უფროსებისადმი პატივისცემა, სამშობლოსადმი თავდადება, შრომისა და შემოქმედების სიყვარული, მოყვასისადმი უანგარო მსახურება, გაჭირვებულთა თანაგრძნობა და ქველმოქმედების ინსტიტუტი.

„მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტჳრთმძიმენი, და მე განგისუენო თქუენ" (მათე 11,28), ბრძანებს უფალი.

მიუხედავად მრავალი დევნისა და შევიწროებისა, ფიზიკური თუ სულიერი უძლურების გამრავლებისა ჩვენს ერში ყოველთვის იყვნენ და დღესაც არიან მამულისა და ეკლესიისათვის თავდადებული შვილები. ეროვნული მოძრაობა არასოდეს შეწყვეტილა საქართველოში. ეს იყო საქართველოს რჩეული შვილების ბრძოლა ეროვნული თვითმყოფადობისათვის. მაგრამ როდესაც ეს მოძრაობა სცილდებოდა ეკლესიურ საფუძველს, მის წინაშე აღიმართებოდა ხოლმე გადაულახავი დაბრკოლებები. მაგრამ, როდესაც საერო წინამძღოლები ხელს უწყობდნენ საეკლესიო ცხოვრების აღორძინებას, მაშინ საქართველო აღწევდა შეუძლებელს. ასე იყო ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, მეფეთ-მეფე თამარის, ქეთევან წამებულის, ილია მართლისა და სხვათა მოღვაწეობის ჟამს. საერო მოღვაწეთა ეკლესიასთან მჭიდრო კავშირის აუცილებლობას გვასწავლის წმ. ნინოს ცხოვრების ერთი მაგალითი: როდესაც ქართველი ერის მიერ ნათლისღების შემდგომ დაიწყო სვეტიცხოვლის მშენებლობა, მაშენებლები წააწყდნენ გადაულახავ წინააღმდეგობას. მათ ვერ შეძლეს ტაძრისათვის გამზადებული სვეტის აღმართვა; ხოლო მას შემდეგ, რაც წმ. ნინომ თავის მოწაფეებთან ერთად ილოცა, სვეტი დაუბრკოლებლად, ადამიანური ჩარევის გარეშე აღიმართა და გაბრწყინდა. ეს იყო წინასწარმეტყველება ივერიის გაბრწყინებაზე. სწორედ ამიტომ ჩვენი მტრები, უპირველეს ყოვლისა, ერისა და ეკლესიის კავშირს ებრძოდნენ: დღეს დადგა ჟამი მრავალი საუკუნეების გვემისა და ტანჯვა-წამების შემდეგ კვლავ აღორძინდეს და გაბრწყინდეს ქართველი ერი. ამისათვის კი, ყოველი ქართველი უნდა იყოს ჭეშმარიტად მადიდებელი ღვთისა.

ღმერთმა ინებოს ქართველი ერის დედა ეკლესიის წიაღში დაბრუნება, ამინ!



ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი
დანიელი



# დიდთა უბრალოება

(მოგონება)

ორმოცდაათიან წლებში, სტალინის საენათმეცნიერო ნაშრომებთან დაკავშირებით, საქართველოს ცალკეულ რეგიონებში ლექცია-მოხსენებებით გამოდიოდნენ გამოჩენილი მეცნიერები. ლექციების ერთი ასეთი ციკლის შესახებ იუწყებოდა ქუთაისის საქალაქო გაზეთი. ღონისძიების ჩატარება დანიშნული იყო პარტკაბინეტის სალექციო დარბაზში. გამოცხადებული იყო მონაწილეებიც: აკად. გ. ახვლედიანი, პროფ. შ. ძიძიგური, ირ. ხანთაძე და სხვ.

ზაფხული იყო. დანიშნულ დღეს გავუარე ჩემს კოლეგას შ. ქათამაძეს და ქუთაისში წავედით. მატარებელი ადრე ჩავიდა. ქალაქში გავიარეთ და ქუთაისის მწერალთა განყოფილების ალმანახი „რიონი" ვიყიდეთ.

სალექციო დარბაზში არავინ იყო. ჟურნალს დავუწყეთ დათვალიერება. რამდენიმე ხნის შემდეგ მატარებლით (თუ მანქანით) ჩამოვიდნენ მომხსენებლები. როგორც მახსოვს, მათ ბ. ჟღენტი დახვდა. სტუმრები ავიდნენ პრეზიდიუმის მაგიდასთან, პორტფელები დააწყვეს და, რადგან ჯერ კიდევ ადრე იყო, გავიდნენ დარბაზიდან. მხოლოდ ბატონი გიორგი ახვლედიანი დარჩა. ცოტა ხანს იჯდა. შემდეგ დინჯად ჩვენკენ წამოვიდა. როცა მოგვიახლოვდა, ფეხზე ავდექით, მოგვესალმა, თვითონაც დაჯდა და ჩვენც დაჯდომა გვთხოვა. გამოგვკითხა ვინაობა, მუშაობის ადგილი, რას ვასწავლიდით, როგორ სწავლობდნენ მოსწავლეები და სხვა. შემდეგ ალმანახი გამოგვართვა და კითხვა დაუწყო. შიგადაშიგ რომელსამე ლექსის სტროფს ხმამაღლა წაიკითხავდა და შენიშვნებს დაურთავდა ხოლმე. მახსოვს, შ. ნიჟარაძის ლექსის კითხვისას თავი აწია და თქვა: „ცოცინათლები" არ შეიძლება, ეს სახელი უკუმშველიაო.

ალმანახში იყო განყოფილება „შენაკადი". ბატონმა გიორგიმ თქვა, ეს, ალბათ, ახალგაზრდა თაობის შემოქმედებააო. რომელიღაც დამწყები პოეტის სტროფი წაიკითხა ხმამაღლა, მოეწონა და ქების სიტყვებით შეამკო. შემდეგ კითხვა შეწყვიტა, მოგვიბრუნდა და გვითხრა: „თქვენ ახალგაზრდები ხართ, ცხოვრებაში ბევრ რასმეს შეხვდებით და ახლა რასაც გიამბობთ, შეიძლება ოდესმე გამოგადგეთ. თავიდანვე გეტყვით: როცა არ იცნობ ადამიანს, მით უმეტეს, ახალგაზრდას, მასზე მსჯავრი არ უნდა გამოიტანო. მე მქონდა ასეთი შემთხვევა და დიდი გამოცდილება შემძინა".

ბატონი გიორგი ლაპარაკობდა დინჯად, გარკვევით, საინტერესოდ.

„რამდენიმე ხნის წინ საკავშირო-საენათმეცნიერო ბეჭდვით ორგანოებში გამოჩნდა წერილები (აქ ბატონმა გიორგიმ გვარი დაასახელა - დესნიცკაია), რომლებშიც ჩანდა ავტორის განსწავლულობა, პრინციპულობა და ერუდიცია. ძალიან დამაინტერესა მეცნიერის ვინაობამ და მისმა გაცნობამ. ეს შემთხვევაც დადგა.

ცენტრში ეწყობოდა დიდი საენათმეცნიერო ფორუმი, რომელზედაც მიწვეული ვიყავი. პროგრამაში შეტანილი იყო იმ მეცნიერის გვარიც, რომლითაც ასე ვიყავი დაინტერესებული.

როცა ჩავედი, დარბაზში რამდენიმე კაცი იჯდა. ზოგი ნაცნობი. ერთი ძალიან ახალგაზრდა ქალიშვილი პრეზიდიუმის მაგიდას უტრიალებდა და ალამაზებდა. როცა დამინახა, ჩემკენ წამოვიდა გაბრწყინებული თვალებით, მომესალმა და ძალიან თბილად მითხრა: „ბატონო გიორგი, მობრძანდით: თქვენი ადგილი აქ არის პრეზიდიუმშიო". მე ეს ქალი ტექნიკურ მუშაკად მივიჩნიე. მადლობა ვუთხარი, პორტფელი მაგიდაზე დავდევი და დარბაზში მჯდომი ნაცნობებისაკენ გავემართე. რამდენიმე ხნის შემდეგ აუდიტორია შეივსო და სხდომაც დაიწყო. მე პრეზიდიუმში მიმიწვიეს.

მოვისმინეთ რამდენიმე მოხსენება. სხდომის თავმჯდომარემ იმ მეცნიერის გვარი გამოაცხადა, რომლითაც დაინტერესებული ვიყავი. ვხედავ, კათედრასთან მივიდა ის ახალგაზრდა ქალიშვილი, რომელიც მე შემეგება და ყოველგვარი „შპარგალკის" გარეშე დაიწყო ლაპარაკი რთულ საენათმეცნიერო პრობლემებზე. იგი საუბრობდა გარკვევით, ნათლად და პრინციპულად. გავოცდი. თავი ცოტა უხერხულადაც ვიგრძენი, რომ წეღან მას საკადრისი ყურადღება არ მივაქციე. მან გამოსვლა დაამთავრა და თავმჯდომარემაც შესვენება გამოაცხადა.

მე წაველი მისკენ. შუბლზე ვაკოცე, პატიება ვთხოვე, რომ უყურადღებოდ მოვექეცი. მეგობრებსაც ვუამბე, რაც დამემართა. იგი, თვალებანთებული, მკლავზე ჩამკიდებოდა და იღიმებოდა კეთილი და ნათელი ღიმილით.

ასე იყო, ახალგაზრდებო! როცა არ იცნობ პიროვნებას, მასთან ურთიერთობისას ფრთხილად უნდა იყოთ..."

საუბარში დარბაზი შევსებულიყო. ბატონი გიორგი გამოგვემშვიდობა, ჩვენ გულითადი მადლობა გადავუხადეთ ასეთი თბილი საუბრისათვის და ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რა უბრალოები არიან დიდი ადამიანები.

რა ითქვა ლექციებზე, აღარ მახსოვს, ბატონი გიორგის ნაამბობი კი ოთხ ათეულ წელზე მეტი ხნის შემდეგაც მეხსიერებიდან არ ამოდის.

პავლე ბერეკაშვილი
დამსახურებული მასწავლებელი
ტყიბული, ორპირი
26.თებერვალი.1998

ვახტანგ იმნაიშვილი

# იოლანდა მარშევი



ცნობილი შვეიცარიელი ქართველოლოგი იოლანდა მარშევი (Iolanda Marchev) დაიბადა 1920 წლის 11 მაისს ციურიხში. მამამისი, ჰენრი მარშევი, პოლონელი იყო, ციურიხში ვაჭრობას მისდევდა. დედა კი, ელიზაბეტ კოტცინი, ამერიკელი ჰყავდა. ნამდვილად მათი გვარი მარხევია, მაგრამ როცა ომის დროს მარშევების ოჯახი ჟენევაში გადავიდა დროებით, იქ მათი გვარი ფრანგულ ყაიდაზე მარშევად ქცეულა და ასე შერჩა იოლანდას გადასხვაფერებული გვარი.

7 წლის იოლანდა სახალხო სკოლაში მიაბარეს, სადაც 6 წელიწადს სწავლობდა. 13 წლისა კი ქალთა გიმნაზიაში შეიყვანეს, რომელიც 1939 წელს დაამთავრა. იმავე წელს იოლანდა ციურიხის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა, სადაც რომანისტიკასა და კლასიკურ ფილოლოგიას ეუფლებოდა. მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა შვეიცარიაში მდგომარეობა გართულდა, ჰენრიმ ოჯახი გახიზნა ჟენევაში, რადგან იქ შედარებით სიმშვიდე იყო. იოლანდამ სწავლა ჟენევის უნივერსიტეტში განაგრძო, სადაც ფრანგულსა და ლათინურს ეუფლებოდა. ამ პერიოდში იგი შევიდა ჟენევის კონსერვატორიაშიც. იქ იგი ცნობილ მაესტრო ანდრე რიბოპიერთან სერიოზულად მეცადინეობდა ვიოლინოს განხრით (იოლანდა ბავშვობიდან სწავლობდა ვიოლინოზე დაკვრასა და ენებს – ინგლისურს, იტალიურსა და ფრანგულს). ამ დროს იგი სერიოზულად ფიქრობდა მუსიკოსის კარიერაზე.

ჟენევაში მხოლოდ ერთი წელს გაჩერდნენ. შემდეგ კვლავ ციურიხში დაბრუნდნენ. მოკლე ხანში (1944 წლის მიწურულს) იოლანდას მამა გარდაიცვალა და ოჯახს მატერიალურად გაუჭირდა. მალე იოლანდამ უნივერსიტეტი დაამთავრა და დიპლომი მიიღო. ჯერ კიდევ გიმნაზიაში ყოფნისას ასწავლიდა იგი პატარებს ლათინურსა და ფრანგულს, ხოლო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ უკვე ოფიციალურად გადასცემდა ამ ენებს სხვადასხვა სკოლაში. პარალელურად კი კერძო გაკვეთილებსაც აძლევდა ვიოლინოსა და ფორტეპიანოზე დაკვრის მსურველთ. დედაც საუცხოო მცოდნე იყო ინგლისურისა და ისიც ბევრგან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. ამით ირჩენდნენ თავს. სტუდენტობის დროს, 24 წლისას, იოლანდას დაემართა პოლიომელიტი, რომლის ეპიდემიაც მაშინ მძვინვარებდა ციურიხში. მარჯვენა ხელსა და ორივე ფეხს ვერ გრძნობდა. დაახლოებით სამ თვეს იწვა ჰოსპიტალში და, როგორც კი დატოვა მისი კედლები, შეუპოვრად შეუდგა დაკარგულის ანაზღაურებას. ინვალიდობის მიუხედავად იოლანდა არ აცდენდა ლექციებს – მანქანით დაჰყავდათ უნივერსიტეტში. ულევმა ნებისყოფამ, შეუპოვრობამ, მიზანსწრაფვამ თავისი გაიტანა – იოლანდამ სენი დაამარცხა.

„როცა უნივერსიტეტი დავამთავრე რომანისტიკისა და კლასიკური ფილოლოგიის განხრით, ჩემთვის მთლად ნათელი არ იყო, მომავალში რა გზას უნდა დავდგომოდი. რადგან ჟენევაში ყოფნისას გამოჩენილი მევიოლინის, ანდრე რიბოპიერის, გაკვეთილებსაც ვღებულობდი, დილემის წინაშე დავდექი – მუსიკა ამერჩია თუ ენათმეცნიერება? ჩემი სურვილი იყო, ვინმე ენათმეცნიერთან ერთად მემუშავა ენებისადმი ჩემი მიდრეკილების შესაბამისად. მუსიკის სიყვარული კი ბავშვობიდანვე დამყვა. ჩემი მეორე ოცნება კი რუსული ენის შესწავლა იყო, რაც რუსული მუსიკისადმი ჩემი ინტერესით იყო განპირობებული",– იგონებს იოლანდა. მან დაიწყო რუსულის მასწავლებლის ძებნა. ამ პროფესიის ხალხი იმხანად ციურიხში ცოტა იყო და კინაღამ დაანება კიდეც ძებნას თავი, მაგრამ ამ დროს ერთმა მისმა თანაკურსელმა კიტა ჩხენკელზე მიუთითა, რომელიც რუსულის ჩინებული მცოდნე იყო და ციურიხის უნივერსიტეტსა და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში ასწავლიდა ამ ენას. იოლანდა მაშინვე ჩაეწერა რუსული ენის შემსწავლელთა ჯგუფში ქ. ჩხენკელთან. „ბეჯითად დავიწყე მეცადინეობა. ჩვენ ხანგრძლივი ლექციების შემდეგ ვსაუბრობდით კიდეც. მამა ცოტა ხნის წინ მომიკვდა, ოჯახი ფინანსურ გაჭირვებას განიცდიდა. მე ლათინურსა და ფრანგულს ვასწავლიდი სხვადასხვა სკოლაში, რათა საარსებო საშუალება მქონოდა. ძალიან დაკავებული ვიყავი და არ შემეძლო ჩხენკელის ლექციებზე რეგულარულად დასწრება, – ჰყვება იოლანდა, – ამიტომ სთხოვა ქ. ჩხენკელს, კერძო გაკვეთილები მიეცა მისთვის. ქ. ჩხენკელმა მას შესთავაზა ასისტენტობა „ქართული ენის შესავლის" მომზადებაში. იოლანდა დათანხმდა ქ. ჩხენკელის წინადადებას. „მე ვგრძნობდი უზარმაზარ თანაგრძნობას ამ კაცისა და მისი ხალხის მიმართ",– ასე ახსნა მან თავისი გადაწყვეტილება. ქ. ჩხენკელს უკვე ჰყავდა ერთი თანამშრომელი, ლეა ფლური, ცოტა ხნის შემდეგ კი მათ იოლანდას თანაკურსელი რუთ ნოიკომიც შეემატა. იოლანდა ქ. ჩხენკელთან რუსულს სამი სემესტრის განმავლობაში სწავლობდა.

ქ. ჩხენკელის გუნდი დიდი აღმაფრენით შეუდგა წიგნზე მუშაობას. იოლანდას ლეას მიერ მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტის გადათვალიერება და ქართული ენის ლაბირინთებში გარკვევა ევალებოდა. სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი თეორიული იყო, მეორე კი – პრაქტიკული და სავარჯიშოებს შეიცავდა. თეორიული ნაწილის შესაბამისი ქართული ნიმუშების ქართულიდან გერმანულად გადათარგმნაში ჩხენკელს იოლანდა ეხმარებოდა. „ჩვენ ნამდვილი მაგალითების ფაბრიკა ვართო"–ხუმრობდა კიტა. „მაგალითებზე მუშაობამ, ერთი და იმავე წინადადების ხშირად გადაწერამ, სანამ ყველა ნიუანსი ნათელი გახდებოდა, ძალზე წინ წამწია ჩემი „ცოდნა ქართულში"–იხსენებს იოლანდა. 1956 წელს „ქართული ენის შესავალი" უკვე გამზადებული იყო დასაბეჭდად. 2 წლის შემდეგ კი „ამირანის" გამომცემლობამ იგი ორ ტომად გამოსცა.

კიტა ჩხენკელს უქმად ყოფნა არ სჩვეოდა. მან ახლა „ქართულ-გერმანული ლექსიკონის" მომზადება გადაწყვიტა. ეს რთული საქმე იყო თუნდაც იმიტომ, რომ იმხანად „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" მხოლოდ 5 ტომი იყო გამოსული. ამიტომ კოლექტივს თვითონ უნდა ეზრუნა მასალების მოპოვებაზე. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ თითოეული თავისი ძირითადი სამუშაოს დამთავრების შემდეგ ახერხებდა ლექსიკონისთვის დროის გამონახვას. არც ერთი მათგანი არ იყო უზრუნველყოფილი მატერიალურად. ამიტომ ისინი თავის სარჩენად სხვადასხვა სახის საქმიანობას ეწეოდნენ – ლეა ბიუროში მუშაობდა, რუთი – გამომცემლობაში, კიტა კი რუსულსა და ქართულს ასწავლიდა უნივერსიტეტში.

ყოველწლიურად ორი 96-გვერდიანი ნაკვეთი უნდა გამოეცათ ლექსიკონისა. ეს თავდაუზოგავ შრომას მოითხოვდა. I ნაკვეთი 1960 წლის შემოდგომაზე გამოვიდა. მე-7 ნაკვეთზე მუშაობისას კი, 1963 წლის ოქტომბერში, კიტა ჩხენკელი ფილტვების კიბოთი გარდაიცვალა (იოლანდას ვილაში – რადგან, ჯერ ერთი, აქ უკეთესი პირობები ჰქონდა სამუშაოდ, მეორეც, კიტას უკვე უჭირდა მოძრაობა). კიტა ჩხენკელის მოწაფეები მარტონი დარჩნენ. შეიძლება სხვებს მათ ადგილას სულაც მიეტოვებინა ლექსიკონზე მუშაობა და თავიანთი პირადი საქმისათვის მიეხედა. მაგრამ მათთვის, უკვე კარგა ხანია, ქართული საკუთარი, ღვიძლი

საქმე გახდა. მათ წამითაც არ გაუვლიათ გულში სამუშაოს მიტოვება და თავიანთი მასწავლებლის ხსოვნისადმი უსაზღვრო პატივისცემა იმით გამოხატეს, რომ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე წიგნზე მუშაობის გაგრძელება გადაწყვიტეს. ჯგუფის საერთო ხელმძღვანელობა იოლანდა მარშევმა ითავა.

კიტა ჩხენკელი გრძნობდა, რომ ჯანმრთელობა ღალატობდა. „მე ვერ მოვესწრები ლექსიკონის დამთავრებას, მაგრამ თქვენ ყოველთვის იპოვით ვინმეს, ვინც დაგეხმარებათ“,- უთქვამს მას თანამშრომლებისათვის სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე. მართლაც, მალე მათ მიაკითხა ვიქტორ ნოზაძემ, რომელიც კიტას ახალგაზრდობის მეგობარი იყო. იმხანად ის საფრანგეთში ცხოვრობდა და იმის გამო, რომ შვეიცარიაში შესასვლელი ვიზის დროულად მიღება ვერ შეძლო, მან ვერ მოასწრო კიტას დაკრძალვაზე ციურიხში ჩასვლა. ვ. ნოზაძემ შესთავაზა ქალებს დახმარება, რაზეც ისინი მადლიერებით დათანხმდნენ. ვიქტორ ნოზაძე, რომელსაც თვითონ ჰქონდა საფრანგეთში გადაუდებელი საქმეები, წელიწადში ორჯერ სამ-სამი თვით ჩადიოდა ციურიხში და ეხმარებოდა სალექსიკონო მასალების მომზადებაში. იოლანდას სიტყვით, იგი ათი წლის განმავლობაში ვიქტორს მხოლოდ ქართულად ელაპარაკებოდა, რითაც შესანიშნავი პრაქტიკა მიიღო. უკანასკნელი, 26-ე ნაკვეთის მომზადებისას ვიქტორი უკვე ავად იყო და იოლანდა თვითონ ჩავიდა საფრანგეთში მასთან სამუშაოს დასასრულებლად. მთელი ხელნაწერი გულდასმით გადაიკითხა რენე ლაფონმაც, ხოლო კორექტურის კითხვაში ლექსიკონზე მომუშავეთ ეხმარებოდა რენე ცვოლანეკი (ეს უკანასკნელი 60-იან წლებში იოლანდას სტუდენტი იყო ციურიხის უნივერსიტეტში და სადოქტორო გამოცდა ქართულში სწორედ იოლანდას ჩააბარა). 1974 წელს 26-ე ნაკვეთის გამოცემით დასრულდა „ქართულ-გერმანული ლექსიკონის“ ბეჭდვა. შვეიცარიელი ქალების თავდადებულ შრომას დიდი რეზონანსი ჰქონდა. მათ მოსდიოდათ აღფრთოვანებული გამოხმაურებები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერები მადლიერების წერილებს სწერდნენ ციურიხელ სამეულს.

1974 წელს ციურიხის კანტონის ხელმძღვანელობამ საგანგებოდ აღნიშნა „ქართულ-გერმანულ ლექსიკონზე“ მომუშავე კოლექტივის ღვაწლი და ლექსიკონის გამოსაცემად გაწეული თავდადებული შრომისათვის იოლანდა და მისი კოლეგები – ლეა ფლური და რუთ ნოიკომი – სპეციალურად მოწყობილ სხდომაზე მატერიალურად დააჯილდოვა.

კიტა ჩხენკელი ციურიხის უნივერსიტეტში ქართული ენის კურსს კითხულობდა. მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე დღის შემდეგ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ შეწყვეტილი ლექციების გამგრძელებლად იოლანდა მარშევი მიიწვია. სალექციო კურსს მომზადება სჭირდებოდა და უკვე 5 თვის შემდეგ, 1964 წლის გაზაფხულიდან, იოლანდამ გააგრძელა თავისი მასწავლებლის წამოწყებული საქმე უფრო მეტიც – იგი უნივერსიტეტში ასწავლიდა არა მარტო ქართულ ენას, არამედ დროდადრო – ქართულ ლიტერატურას და საქართველოს ისტორიასაც. ამ საგნების ერთსემესტრიანი კურსების კონსპექტებში მას დღესაც მზრუნველობით შეაქვს დამატებები და შესწორებები, მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარიული კანონმდებლობის შესაბამისად მას 1988 წელს ასაკის გამო მოუხდა უნივერსიტეტის დატოვება, სადაც ის 24 წლის მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა ქართულ საქმეს.

1970 წ. იოლანდას გარდაეცვალა დედა, რომელმაც, საერთოდ, დიდი როლი ითამაშა იოლანდას ცხოვრების გზის განსაზღვრაში და ყოველნაირად ხელს უწყობდა თავის ქალიშვილს მატერიალურად უზრუნველყოფაში. ელიზაბეტ მარშევი თვითონაც დებულობდა ერთგვარ მონაწილეობას ქართული ენისათვის გზის გაკვლევის საქმეში: მან მოამზადა „ქართული ენის შესავლის“ ინგლისური ვარიანტი, რაკი საუცხოო მცოდნე იყო ინგლისურისა – ის ხომ ფილადელფიაში იყო დაბადებული, და, ამას გარდა, დაწყებული ჰქონდა ქართულ-გერმანული ლექსიკონის შესაბამისად მის ინგლისურ ვარიანტზე მუშაობა. დედის გარდაცვალება დიდი უბედურება იყო იოლანდასთვის, მაგრამ მალე მას გვერდში ამოუდგა ლეა ფლური, რომელმაც მიატოვა თეატერშტრასეზე თავისი ბინა და იოლანდას ვილაში გადასახლდა. ამიერიდან „ამირანის“ გამომცემლობამაც იოლანდას სახლში დაიდო ბინა, რაკი გამომცემლობის ხელმძღვანელობა ჩხენკელმა ლეას ჩააბარა.

იოლანდა მარშევი ქართულთან დაკავშირებით სხვა სახის საქმიანობასაც ეწეოდა: 1986 წელს მან ციურიხში გამოსცა 124-გვერდიანი მონოგრაფია „ქართული ენის მორფემები“ (Die Morpheme der georgischen Sprache), რუთ ნოიკომთან ერთად თარგმნა აკაკის „ჩემი თავგადასავალი“ (ციურიხი, 1990) და მასთანვე თანაავტორობით გაზეთში „Neue Zurcher Zeitung“ გამოაქვეყნა წერილები აკაკი წერეთელზე (1982), ვაჟა-ფშაველაზე (1985), ილია ჭავჭავაძეზე (1986).

1990 წელს იოლანდა მარშევი ახალ საქმეს შეუდგა: მან დაიწყო „გერმანულ-ქართული ლექსიკონის“ მომზადება. ეს ისეთი სახის ლექსიკონია, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული ქართულით დაინტერესებულ უცხოელ მკითხველთა ინტერესები (მაგალითად, მოცემულია ქართული ზმნის ძირითადი ფორმები სხვადასხვა სერიაში...). ეს ფუნდამენტური ნაშრომი იოლანდამ 1996 წლის შემოდგომისთვის დაასრულა. ლექსიკონის დასახვეწად იოლანდამ და ბერნის უნივერსიტეტის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ხელმძღვანელმა პროფ. როლანდ ბილმაიერმა (რომლის თანადგომითაც მოხერხდა ამ პროექტის განხორციელება) მე მიმიწვიეს ციურიხში ერთი წლით. დაძაბული ერთობლივი მუშაობის შემდეგ 1997 წლის სექტემბრის ბოლოსთვის ლექსიკონი გამზადდა გამოსაცემად. იგი, ალბათ, წლეულს შემოდგომისთვის დაიბეჭდება ციურიხში.

იოლანდა მარშევი სამჯერ არის ნამყოფი საქართველოში, უკანასკნელად – 1995 წელს სალექსიკონო მასალებზე სამუშაოდ. პირველად კი 1968 წელს ეწვია კიტას სამშობლოს, თბილისის უნივერსიტეტის დაარსების 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად ლეა ფლურისა და რუთ ნოიკომთან ერთად. სხვათა შორის, როცა შვეიცარიელ ქალთა დელეგაციას მისასალმებელ სიტყვას აძლევდნენ, თითქმის ყოველთვის დელეგაციის სახელით ქართულად სიტყვას იოლანდა ამბობდა. „თავდაპირველად ძალიან ვღელავდი, ვშიშობდი, რომ ენა დამებმებოდა. მაგრამ მალე მივეჩვიე და უკვე აღარაფრისა მეშინოდა, – იგონებს იგი, – ჩვენთვის ყველაზე მთავარი ის იყო, რომ კიტა ჩხენკელის სიკვდილიდან 5 წლის შემდეგ მის სამშობლოში მისი საქმის გამგრძელებლად ჩვენ ვიდექით იქ მის ნაცვლად და თავი არ შეგვირცხვენია“. პირველი ნერვიულობა სწრაფად გაქრა. აღფრთოვანებული ქართველების ტაშს ბოლო არ უჩანდა, როცა იოლანდა ქართულად მიესალმებოდა შეკრებილ საზოგადოებას ნებისმიერ დონეზე – აკადემიურ წრეებში თუ სოფლის კლუბის სცენაზე. ქალებს გახსენდათ კიტას ნათქვამი: „სამწუხაროდ, პოლიტიკური მიზეზების გამო მე არ შემიძლია ჩემს სამშობლოში ჩასვლა, თქვენ კი ნამდვილად მოგეცემათ იქ ყოფნის საშუალება და იცოდეთ, ძლივს მოასწრებთ ქართულ მიწაზე ფეხის დადგმას, რომ ხელიხელით გატარებთ“. ეს, მართლაც, ასე მოხდა და ამ დღეებს იოლანდა დღესაც, 30 წლის შემდეგ, თვალცრემლიანი იხსენებს.

მეორედ იოლანდა საქართველოს 1990 წელს ეწვია. სხვათა შორის, ამ ვიზიტის დროს ის თბილისში მოინათლა. მისი ნათლობის სახელია იოანნა. ნათლია კი ვაჟა-ფშაველას ახლო ნათესავი ყოფილა.

იოლანდა ინახავს 1968 წელს მთაწმინდაზე ვაჟა-ფშაველას საფლავიდან წამოღებულ მიწასა და ყვავილებს, რომლის მცირე ნაწილი კიტას საფლავზე მიაბნია.

ვინც იოლანდა მარშევის ვილაში მის მისაღებ ოთახში მოხვდება, აუცილებლად შეამჩნევს სავარძლის საზურგეზე გადაფენილ ტილოს ნაჭერს, რომელზეც ერთი შვეიცარიელი ქალის ხელით შოთას სიტყვებია ამოქარგული ქართულად: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“.

*ცნობილ ქართველ ენათმეცნიერს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გიორგი შალამბერიძეს 80 წელი შეუსრულდა. მისი არცთუ ხანგრძლივი, მაგრამ ნაყოფიერი შემოქმედებითი ცხოვრების ძირითადი მიზანი ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხების კვლევა იყო. ბატონი გიორგი არის ავტორი არაერთი წიგნისა, რომელიც ქართული სიტყვის კულტურის საკითხებს ეხება. მალე მკითხველი მიიღებს მეორე შევსებულ გამოცემას „მეტყველების კულტურის საკითხებისა". აქ წარმოდგენილი პუბლიკაციები ამოღებულია წიგნიდან „ქართული სწორმეტყველების სწავლების ზოგიერთი საკითხი" (1980წ.).*

## „სიტყვაში გამოვიდა" თუ „სიტყვით გამოვიდა"?

ცოცხალ მეტყველებაში, პრესაშიც ხშირად გვხვდება გამოთქმა: „სიტყვაში გამოვიდა".

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" VI ტომში „სიტყვის" რამდენიმე მნიშვნელობაა განმარტებული. მისი ერთ-ერთი მნიშვნელობაა „საჯარო გამოსვლა, მოხსენება". ლექსიკონში დამოწმებულია გამოთქმები: შესავალი სიტყვა, საბოლოო სიტყვა, მისასალმებელი სიტყვა და სხვ.

ქართულში არის სიტყვა „კამათი", რაც ნიშნავს „რაიმე საკითხის შესახებ განსხვავებული აზრების გამოთქმა-შეპირისპირებას, აზრთა გაცვლა-გამოცვლას, დავას, ცილობას. არსებობს გამოთქმა „კამათში გამოსვლა" – კამათში მონაწილეობის მიღება; „კამათში გამოსული" კი კამათში მონაწილეა, მოკამათეა.

„კამათში გამოსვლის" ანალოგიით გაჩნდა გამოთქმა „სიტყვაში გამოსვლა". „სიტყვაში გამოვიდა (ან სიტყვებში გამოვიდნენ) შემდეგი ამხანაგები...".

„სიტყვაში გამოსვლა" უაზრობაა; სიტყვაში კი არ გამოდიან, არამედ სიტყვას წარმოთქვამენ, ამბობენ, ე.ი. სიტყვით გამოდიან. გამოთქმა „სიტყვაში გამოვიდა" („სიტყვებში გამოვიდნენ") არ უნდა ვიხმაროთ; სწორია „სიტყვით გამოვიდა" (ან „სიტყვებით გამოვიდნენ", ან „კამათში გამოვიდა", კამათში მონაწილეობა მიიღო (გამოვიდნენ, მიიღეს).

## „ადგილი აქვს" თუ „ხდება"?

მშობლიური ენის სიწმინდის დაცვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. სიტყვათა და გამოთქმათა შეუზღუდავი სესხების წინააღმდეგ ბრძოლას.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ „სესხება ენის გამდიდრების ერთ-ერთი საშუალებათაგანია. არ არსებობს წმინდა ენა. ყოველი ენა მეტნაკლები რაოდენობით შეიცავს სხვა ენიდან შემოსულ (ნასესხებ) სიტყვებს" (ვ. თოფურია).



მაგრამ სხვა ენიდან სიტყვისა თუ გამოთქმის სესხება, როცა მათი შესატყვისი ქართული სიტყვა ან გამოთქმა მოგვეპოვება, ენას აჭრელებს, აუხამსებს, ალარიბებს. ერთ-ერთი ასეთი გამოთქმაა „ადგილი აქვს" (ან „ადგილი არა აქვს"), რომელიც რუსულის შესატყვისად ხშირად გვხვდება როგორც ცოცხალ მეტყველებაში, ისე პრესაში, სამეცნიერო და მხატვრულ ლიტერატურაში. აი, მაგალითები: „მოსწავლის დღის რეჟიმის დარღვევას თითქმის სისტემატურად აქვს ადგილი"; „ვეგმაში აღმზრდელის საერთო მოვალეობის დასახელებას სრულიად არ ჰქონია ადგილი"; „ბგერათა დაკარგვას ხშირად აქვს ადგილი"; „ამ პროცესში ადგილი აქვს მოლეკულების დაშლას"; „ლექციებზე ზოგჯერ ადგილი აქვს წესრიგის დარღვევის შემთხვევებს"; „უკანასკნელ დღეებში ადგილი არ ჰქონია ქუჩაში მოძრაობის წესების დარღვევის შემთხვევებს"; „მალაზიაში ადგილი ჰქონდა ფასების დამახინჯების შემთხვევებს"; „კაპიტალისტურ ქვეყნებში ადგილი აქვს ფასების ზრდას პირველი მოთხოვნილების საგნებზე" და ასე დაუსრულებლივ.

გამოთქმა „ადგილი აქვს" იმდენად გავრცელებულია, რომ იგი „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც" არის შეტანილი, როგორც იდიომი; თუმცა იქვე უზის შენიშვნა – ბარბარიზმი (იხ. ტ. I, „აქვს" სიტყვის განმარტება).

მაინც რას ნიშნავს „ადგილი აქვს"? ზემოდასახელებულ ლექსიკონში იგი ასეა განმარტებული: „ხდება ხოლმე, რისიმე შემთხვევები არის, შეინიშნება რაიმე". შეიძლებოდა ეს განმარტება გაგვევრცო და ის, რასაც „ადგილი აქვს" (ან „არა აქვს"), გადმოგვეცა ზმნური ფორმებით: მაშინ აქ მოყვანილი მაგალითები ასეთნაირად შეიცვლებოდა: „მოსწავლის დღის რეჟიმი თითქმის სისტემატურად ირღვევა"; „გეგმაში აღმზრდელის საერთო მოვალეობა არ არის დასახელებული"; „ბგერები ხშირად იკარგება"; „ამ პროცესში მოლეკულები იშლება"; „ლექციებზე ზოგჯერ წესრიგი ირღვევა"; „უკანასკნელ დღეებში ქუჩაში არ დარღვეულა (ან: არ დაურღვევიათ) მოძრაობის წესები"; „გეგმის შესრულებაში ჯერ კიდევ არის ჩამორჩენა (ან: ჩამორჩენაა)"; „მალაზიაში ამახინჯებდნენ ფასებს (ან: იყო ფასების დამახინჯების შემთხვევები)"; კაპიტალისტურ ქვეყნებში იზრდება პირველი მოთხოვნილების საგნების ფასები" და ა.შ.

როგორც ვხედავთ, ყველა შემთხვევაში შეიძლება უადგილოდ ნახმარი გამოთქმა „ადგილი აქვს" შევცვალოთ ბუნებრივი ქართული გამოთქმებით, რაც საშუალებას გვაძლევს ჩვენს ენას შევუნარჩუნოთ გამომსახველობითი ძალა, ლაკონიურობა და სისადავე.

მაგრამ საერთოდ უარი ვთქვათ თუ არა გამოთქმაზე – „ადგილი აქვს (არა აქვს)?" ცხადია, არა. ისეთ შემთხვევებში, როცა მართლაც ადგილზეა ლაპარაკი, ეს გამოთქმა უნდა ვიხმაროთ. მაგალითად: „ყველა ნივთს თავისი ადგილი აქვს". „ჩემს ამხანაგს პარტერში აქვს ადგილი". „მგზავრს ზედა ადგილი აქვს (ვაგონში)"; „მშვენიერი სავენახე ადგილი ჰქონდა"; „საბოსტნე ადგილი არა აქვს" და სხვ.

ამგვარად, თუ ზემოაღნიშნულ მაგალითებს დავაკვირდებით, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ყველა სიტყვასა და გამოთქმას თავისი ადგილი ჰქონია.

# ქართული ენა

## კითხვით ნაცვალსახელთა ბრუნება

კითხვით ნაცვალსახელთაგან თავისებურებას გვიჩვენებს ვინ, რომელიც ასე იბრუნვის:

| | | |
|---|---|---|
| სახ. | ვი–ნ | |
| მოთხ. | ვი–ნ | |
| მიც. | ვი–ს | |
| ნათ. | ვი–ს | |
| მოქმ. | – | (ვის–ით) |
| ვით. | – | (ვის–ად) |
| წოდ. | – | |

როგორც ვხედავთ, სახელობითსა და მოთხრობითს ერთი და იგივე ფორმა აქვს (ნ წარმოშობით მარტოოდენ მოთხრობითი ბრუნვის ნიშანია, სახელობით ბრუნვაში იგი შემდეგაა გადასული). გარეგნულად ერთნაირია მიცემითი და ნათესაობითიც. ეს იმიტომ მოხდა, რომ ნათესაობითი ბრუნვის – ის დაბოლოებისაგან, წინამავალი ხმოვნის გავლენით, მხოლოდ ს დაგვრჩა და ნათესაობითი ბრუნვის ფორმა მიცემითისას დაემსგავსა (იგივე ხდება სხვა ხმოვანფუძიანი უკვეცელი სახელების ბრუნებისას. გავიხსენოთ, მაგალითად, **წყაროს** ვხედავ (წყარო–ს– მიცემითია) და **წყაროს** წყალი (შევანაცვლოთ: მდინარ–ის წყალი, ე.ი. წყარო–ს აქ ნათესაობითია). სხვა ბრუნვები **ვინ** ნაცვალსახელს არა აქვს, მაგრამ მოქმედებითსა და ვითარებით ბრუნვებში იგი განსხვავებულ ფორმებს იყენებს, რომლებშიც ფუძედ აღებულია არა **ვი-** (რომელიც ზემოაღნიშნულ ოთხ ბრუნვაში ჩანს), არამედ – **ვის,** რომელსაც ხელმეორედ აქვს დართული მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ნიშნები: ვის–ით, ვის–ად.

**ვინ** ნაცვალსახელის ბრუნვათა გარეგნულად მსგავსი ფორმების გასარჩევად კვლავ შენაცვლების ხერხი უნდა მოვიშველიოთ: **ვინ** გიყვარს? ადამიან–ი; **ვინ** გითხრა? – ადამიან–მა; **ვის** უმღერი?– ადამიან–ს; **ვისთვის** შრომობ?– ადამიან–ისა–თვის. როგორც ვხედავთ, ნათესაობითი ბრუნვის ფორმა აქაც (პირის ნაცვალსახელთა მსგავსად) თანდებულიანია.

**ვინ** ნაცვალსახელს მრავლობითი რიცხვი არა აქვს (ძალზე იშვიათია ვინ–ებ–ი).

ნაწილობრივ თავისებურია **რა** კითხვით ნაცვალსახელიც იმ თვალსაზრისით, რომ მხოლობით რიცხვში კვეცადია (სახ. რა, მოთხ. რა–მ, მიც. რა–ს, ნათ. რ–ის, მოქ. რ–ით, ვით. რა–დ), ხოლო მრავლობითში კი – უკვეცელი (რა–ებ–ი, რა–ებ–მა, რა–ებ–ს და ა.შ.).

**ვინ** ნაცვალსახელის მსგავსად იბრუნვის უარყოფითი ნაცვალსახელები: არავინ, ვერავინ, ნურავინ; აღარავინ, ვეღარავინ, ნუღარავინ.

**განსაზღვრებით ნაცვალსახელთაგან** თავისებურებას გვიჩვენებენ **თვით, თვითონ,** რომლებიც უბრუნველია, და **ყველა,** რომელიც უკვეცელია. მრავლობით რიცხვში მას ჩვეულებრივ ნარიანი სახელობითის წარმოების უნარი **აქვს – ყველა**–ნ–ი (თანიანი ფორმა იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ვაჟა–ფშაველასთან: „დილის ნიავი ყველა–თა თავს დასტრიალებს მცველადა"; „გაგიმარჯოსთ თქვენ ყველათა!").

თავისებურებას გვიჩვენებს ბრუნებისას ურთიერთობითი ნაცვალსახელი **ერთმანეთი,** რომელსაც აკლია მოთხრობითი და წოდებითი ბრუნვები, მრავლობითი კი საერთოდ არ გააჩნია. ნაკლოვანია აგრეთვე ერთმანეთი–ს მონაცვლე ფორმები– ერთურთი და ერთიმეორე.

## ნაწილაკიან ნაცვალსახელთა ბრუნება

ჩვენ ვიცით, რომ ქართულში უამრავი ნაცვალსახელია ნაწილაკდართული. ნაწილაკი შეიძლება წინ უსწრებდეს ბრუნვის ნიშანს (ვინ–მე–ს), ან მოსდევდეს მას (ვი–ს–მე). ძველი წარმოებით, ნაწილაკები, ჩვეულებრივ, ბრუნვის ნიშნების შემდეგ დაერთვოდა, ამიტომ სახელი სხვადასხვა ბრუნვაში ისევე იცვლებოდა, „როგორც შეიცვლებოდა, რომ ნაწილაკი სრულებით არ ჰქონოდა დართული" (ა. შანიძე). ამგვარ წარმოებას **შეუზრდელ** ანუ **შეუხორცებელ** სახეობას უწოდებენ. შეუზრდელი წარმოება დღესაც იხმარება გარკვეულ შემთხვევაში, მაგრამ იგი დეფექტურია: ყველა ბრუნვის წარმოება არ შეუძლია. ახალი წარმოების მიხედვით ეს ნაწილაკები შეზრდილია ფუძესთან (ან სახელობითი ბრუნვის ფორმასთან) და ამ სახით ახალი ფუძეა შექმნილი (ვინმე, რამე, რომელიმე, ვიღაც(ა), რაღაც(ა) და ა.შ.) რომელსაც შემდგომ დაერთვის ბრუნვის ნიშნები (ვინმე–მ, ვინმე–ს, რომელიმე–მ, ვიღაცა–ს და ა.შ.). ეს არის **ნაწილაკშეზრდილი** ანუ **შეხორცებული** სახეობა, რომელიც გაბატონებულია თანამედროვე ქართულში. მას ყველა ბრუნვის წარმოება შეუძლია (წოდებითის გარდა).

იშვიათად გვხვდება ე.წ. **ნარევი სახეობა,** რომელიც მიღებულია შეუხორცებელი სახეობის ხელახლა გაფორმებით; ე.ი. ბრუნვის ნიშანი დართულია ნაწილაკის წინაც და შემდგომაც: ვი–ს–მე–ს.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმე-



გაგრძელება. დას. იხ. „ბე" №3-12, 1997, №1-3, 1998 წ.

| | ძირითადია | დასაშვებია | უარსაყოფია |
|---|---|---|---|
| სახ. | ვინმე | – | – |
| მოთხ. | ვინმე-მ | – | – |
| მიც. | ვინმე-ს | ვი-ს-მე | ვი-ს-მე-ს |
| ნათ. | ვინმე-ს(ი) | ვი-ს-მე(ვის-გან-მე) | ვი-ს-მე-ს |
| მოქმ. | ვინმე-თი | – | – |
| ვით. | ვინმე-დ | – | – |
| სახ. | რამე//რამ, რაიმე | – | – |
| მოთხ. | რამე-მ | – | რა-ი-მე-მ |
| მიც. | რამე-ს | რა-ს-მე | რა-ი-მე-ს//რა-ს-მე-ს |
| ნათ. | რამე-ს(ი)//რამ-ის | რ-ის-მე (რ-ის-გან-მე), რის-ა-მე | რა-ი-მე-ს, რ-ის-ი-მე |
| მოქმ. | რამე-თი//რამ-ით | რ-ით-მე //რ-ით-ი-მე | რა-ი-მე-თი |
| ვით. | რამე-დ | რა-დ-მე | რა-ი-მე-დ |
| სახ. | იგივე | | |
| მოთხ. | იმანვე//მანვე | – | იგივემ |
| მიც. | იმასვე//მასვე | – | იგივეს |
| ნათ. | იმისვე//მისვე | – | იგივეს(ი) |
| მოქმ. | იმითვე//მითვე | – | იგივეთი |
| ვით. | იმადვე//მადვე | – | იგივედ |

საგანგებო ყურადღება მივაქციოთ **ერთი და იგივე** ნაცვალსახელების ერთად ბრუნებას:

| | | | |
|---|---|---|---|
| სახ. | ერთი და იგივე | – | – |
| მოთხ. | ერთმა და იმავემ | ერთმა და იმანვე | ერთი და იგივემ |
| მიც. | ერთსა და იმავეს// ერთ და იმავეს | ერთსა და იმასვე | ერთი და იგივეს |
| ნათ. | ერთისა და იმავეს(ი)// ერთი და იმავეს(ი) | ერთისა და იმისვე | ერთი და იგივეს(ი) |
| მოქმ. | ერთითა და იმავეთი// ერთი და იმავეთი | ერთითა და იმითვე | ერთი და იგივეთი |
| ვით. | ერთსა და იმავედ// ერთ და იმავედ | ერთსა და იმადვე | ერთი და იგივედ |

ბის მიხედვით, **ძირითად ფორმად** უნდა დარჩეს **შეხორცებული სახეობა,** როგორც წარმოების მიხედვით სწორი, სრული (ყველა ბრუნვა აქვს, გარდა წოდებითისა), გავრცელებული, გაბატონებული, ადვილად მოსახმარი და ენის განვითარების ტენდენციის ამსახველი.

**დასაშვებად** უნდა იქნეს მიჩნეული **შეუხორცებელი სახეობა,** რამდენადაც იგი სწორია წარმოების მიხედვით და საკმაოდ გავრცელებულია დღესაც; ხოლო **ნარევი სახეობა უარყოფილ** უნდა იქნეს, როგორც წარმოების მიხედვით არასწორი.

გავეცნოთ ნაწილაკიან ნაცვალსახელთა ბრუნების ნიმუშებს თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმათა გათვალისწინებით (იხილეთ ზემოწარმოდგენილი პარადიგმები).

ჩვენ ვისაუბრეთ ზოგიერთ თავისებურად ბრუნებად ნაცვალსახელებზე. ნაცვალსახელების ერთი ნაწილი იბრუნების შესაბამისი ფუძის მქონე არსებით სახელთა მსგავსად; ოღონდ, როგორც აღვნიშნეთ, ნაცვალსახელთა უმრავლესობას არა აქვს წოდებითი ბრუნვა. ერთი გამონაკლისი – II პირის ნაცვალსახელი (შენ, შე; თქვენ, თქვე) ჩვენთვის ცნობილია. ამას უნდა დავუმატოთ I პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელიც – ჩემო, ჩვენო. იშვიათად, მაღალფარდოვანი



მიმართვის დროს, წოდებით ბრუნვაში შეიძლება II პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელიც შეგვხვდეს მრავლობითი რიცხვის ფორმით. მაგალითად: თქვენო უდიდებულესობავ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ და ა.შ.

ლეილა გეგუჩაძე

თამარ შარაბიძე

# ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზია



რომანტიზმის რაობაზე ბევრი თქმულა და დაწერილა, მაგრამ ვერცერთი განსაზღვრა სრულად ვერ ამოწურავს ამ ლიტერატურული მიმართულების არსს. რომანტიზმი სინამდვილის ასახვის თავისებური ფორმაა. თუ რეალისტი სამყაროს ხატავს ობიექტურად, ცდილობს ნაკლებად წარმოაჩინოს თავისი სუბიექტური მიდგომა, რომანტიკოსი – პირიქით, სამყაროს კი არ ასახავს, არამედ – მისგან გამოწვეულ სუბიექტურ აღქმასა და გრძნობას. იგი ირჩევს იმ მოვლენასა და „საგანს", რომელიც მის სულიერ მდგომარეობას გამოხატავს. სამყაროს სუბიექტური აღქმის მხრივ რომანტიზმი სენტიმენტალიზმს წააგავს, მაგრამ განსხვავდება მისგან გრძნობათა გამოხატვის თვალსაზრისით. სენტიმენტალურ გრძნობას უმეტესად გონება აკონტროლებს, მასში ყველაფერი სახელდებულია და ამიტომაც უფრო გამარტივებული; რომანტიკული გრძნობა კი ბობოქარია, გონებით განუმარტავი და სახელდაუდებელი:

„და ჩემთა გრძნობათ შენდამი ვერ დასდვან კაცთა სახელი!"

(ნ. ბარათაშვილი – „არ უკიჟინო, სატრფოო...")

"არს მწუხარება სულისა, არ აქვს ნუგეში რომელსა.

ჰსჯობს ენა სდუმდეს, ხმა შესწყდეს, მოთქმით რა

ერგოს გულ-წყლულსა?"

(გრ. ორბელიანი– „საღამო გამოსალმებისა")

რომანტიზმისათვის, ისევე როგორც სხვა ლიტერატურული მიმართულებებისათვის, დამახასიათებელია მოტივთა მრავალფეროვნება. პატრიოტიზმი, წარსულის განდიდება და მასზე ოცნება, წუთისოფლის ამაოების, ბედისწერის და ადამიანის არსებობის აზრის საკითხები, ბუნებისა და სიყვარულის თემა თითქმის ყველა რომანტიკოსის შემოქმედებაში გვხვდება. სხვა ლიტერატურული მიმართულების მწერლებისაგან განსხვავებით ამ მოტივებს რომანტიკოსი თავისებურად ასახავს. ქვეყნის უბედურება მის პირად გაზცდებში წარმოჩნდება, აწმყოთი უკმაყოფილო წარსულს განადიდებს და მისტირის მას; ოცნება რომანტიზმის საფუძველში ძევს, ის ბიძგს აძლევს გრძნობას. რომანტიკოსი მუდმივ ძიებაშია, რათა შეიცნოს საკუთარი თავი, გარემომცველ სამყაროში გაიშინაარსოს პიროვნული ცხოვრება თავისი ავითა და კარგით, ბედით და უბედობით, სწვდეს ადამიანის არსებობის აზრს უგამო ჟამში, განუსაზღვრელ სივრცესა და დროში. მას არ აკმაყოფილებს სამყაროს აღქმის უკვე ჩამოყალიბებული დოგმები. მან თვითონ უნდა აღიქვას ყოველივე საკუთარი თავის შეცნობის გზით, საკუთარი თვალით დანახული და საკუთრივ ნაგრძნობი სინამდვილე უნდა გახდეს მისი შინასამყაროსა და გარესამყაროს შეცნობის პირობა. ძიების გზაზე ჩნდება ეჭვი და პესიმიზმი, დგება ბედისწერის საკითხიც, წუთისოფლის ამაოების განცდა და ადამიანის არსებობის აზრის პრობლემა. რომანტიკოსთა უმრავლესობისათვის ბუნება მეგობარია, ფიქრთა ამშლელი და გრძნობათა თანაშემწე. რომანტიკოსი ბუნების მოვლენათაგან ასახავს იმას, რაც მის სულიერ მდგომარეობას შეესატყვისება. სიყვარულის თემა მათ შემოქმედებაში მრავალმხრივ წარმოჩნდება, მაგრამ ხორციელ სილამაზეს უმღერის მწერალი თუ სულიერ გრძნობას, ტრფობის ცალმხრიობით გამოწვეულ გულისტკივილზე მსჯელობს თუ ორი არსების სულიერ კავშირზე, ყველა შემთხვევაში მისი გრძნობა ბობოქარია, გონებით დაუმორჩილებელი და უმეტესად განუმარტავი. ამ ძირითადი თვისებებით უნდა გამოირჩეს რომანტიკოსი სხვა ლიტერატურული მიმართულების მწერლებისაგან.

გარჩევას მოითხოვს რომანტიზმი, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა და როგორც რომანტიკული ტენდენცია, რომელიც ნებისმიერი დროის მწერლის ნაწარმოებში შეიძლება შეგვხვდეს. რომანტიკული განწყობილებანი მუდამ არსებობდა მწერლობაში, მაგრამ რომანტიზმი, როგორც გარკვეული სტილი, როგორც ლიტერატურული მიმართულება მე-18 საუკუნის დასასრულისა და მე-19 საუკუნის I ნახევრის კუთვნილებაა. იგი სხვადასხვა ქვეყანაში გარკვეული სოციალური პირობების გამო გაბატონდა. არსებობს გერმანული, ფრანგული, რუსული, ამერიკული, იტალიური და ა.შ. რომანტიზმი. მე-19 საუკუნის დასაწყისში რომანტიკული სტილი საქართველოშიც ვრცელდება ევროპული და რუსული რომანტიზმის ზეგავლენით. ქართველი მწერლები ეცნობიან რომანტიკოსთა ნაწერებს და თარგმნიან კიდეც. ხშირია პოეტური თხზულებების მიბაძვები და გადმოკეთებანი. ისინი განსაკუთრებით დიდ ინტერესს იჩენენ ჰიუგოს, ბაირონის, დიუმას, პუშკინისა და ლერმონტოვის შემოქმედებისადმი.

ქართული რომანტიზმის ეროვნულ ხასიათზე ბევრი თქმულა და დაწერილა. მთელი ქართული მწერლობა პატრიოტული გრძნობის, ეროვნული სულის მთლიანობის მეხოტბეა. ქართული რომანტიზმიც აგრძელებს საუკუნოვან ტრადიციას. მით უმეტეს, რომ ამ დროისათვის ჩვენში არსებობს საფუძველი ეროვნულ განწყობილებათა გამოვლენისა. ეს საფუძველი კონკრეტული პოლიტიკური-სოციალური მოვლენებია. რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამ, 1832 წლის შეთქმულების ჩაშლამ და ქვეყანაში შექმნილმა ვითარებამ თავისი დაღი დააჩნია ლიტერატურასაც. როგორც ილია აღნიშნავს, „რაკი საზოგადოებრივი ცხოვრება ჩვენს კაცს ხელიდან გამოეცალა, რაკი კაცს ხელთ შერჩა მარტო თავისი თავიღა, სხვა რა ექნა, რომ უსაგნო გარეშემოსაგან ლტოლვილი თვალი თავის საკუთარ გულში არ ჩაეხედებინა და იქ არ მოეკლა წყურვილი გულთათქმისა და ჭკუა-გონების ხედვისა". ყოველივე ამას თან ერთვოდა ოცნება თავისუფალ საქართველოზე ჩვენი ქვეყნის „ოქროს ხანაზე" საქართველოში არსებობდა ყოველგვარი პირობა რომანტიკული განწყობილებების ჩამოსაყალიბებლად. უპირველესი პირობა კი ეროვნული გულისტკივილი იყო. ქართული რომანტიზმის თავისებურება, უწინარეს ყოვლისა, მდგომარეობა იმ მხრივ რომ მან ქართველი ხალხის უბედობა, ტკივილი და იმედი გამოხატა.

რომანტიზმის პირველ წარმომადგენლად ქართულ მწერლობაში ალექსანდრე ჭავჭავაძე ითვლება. მის შემოქმედებას ახასიათებს გრძნობათა ზოგადობა და ფილოსოფიური განსჯა. პოეტის პატრიოტული შინაარსის ლექსებიც მოკლებულნი არიან გრძნობის კონკრეტულ გამოხატვას, მაგრამ ჩვენთვის ცნობილი პოეტის პოლიტიკური მრწამსის გამო, რაც თვალნათლივ იხატება მის ისტორიული ხასიათის ნარკვევში „საქართველოს მოკლე ისტო-

რია", ცხადი ხდება ალექსანდრე ჭავჭავაძის განცდათა მიზეზები.

ლექსში „ვისაც გსურთ" პოეტი საკუთარ გასაჭირზე გვესაუბრება. „ჭირში ფლობილს" ჭმუნვა და ურვა მოსძალებია. მისი პირადი განცდის მიზეზი კი სამშობლო ქვეყნის პატიმრობაა, რომელსაც ალ. ჭავჭავაძე მეტად ზოგადი ფრაზებით გადმოგვცემს:

„მას ვჭვრეტ პატიმრად, ვის მონებს გული,
მისთვის, გლახ, განწირული,
მაქვს მწუხარება ზედა-ზედ რთული,
მარად მეახლეს წყლული".

მის თანამემამულეთ დამპყრობითა გუშაგები უდგანან მცველად და ადამიანურ ნებას უხშობენ. ადამიანი კი იმით გამოარჩია ღმერთმა სხვა ცოცხალ არსებათაგან, რომ თავისუფალი ნება მიანიჭა. აქედან გამომდინარე, ადამიანის ბედნიერება თავისუფალ ნებაში მდგომარეობს. ნების წართმევა ადამიანური ღირსების შელახვაა. პოეტი განიცდის, რომ მისი მშობელი ხალხი ღირსებაწართმეულია, პატივაყრილია. მართალია, გუშაგები იცვლებიან, მაგრამ „გველივე შთება გველად". გველი ის ძალაუფლებაა, რომელიც იმონებს მის ხალხს. პოეტი კონკრეტულად არ მიუთითებს, რომ ეს მჩაგვრელი და დამმონებელი ძალა რუსეთის ხელისუფლებაა, მაგრამ მისი პოლიტიკური მრწამსიდან გამომდინარე ნათელია, რომ გველი – რუსეთის იმპერიაა, ხოლო „გუშაგნი" – იმპერიის ხელისუფალნი. ალექსანდრე ჭავჭავაძე საფუძველს უყრის პატრიოტულ-ალეგორიულ ლირიკას, რაც შემდგომ მხატვრულ ხერხად იქცევა მე-19 საუკუნის მწერლობისათვის.

უიმედო მდგომარეობა სოფლის წარმავლობაზე ფიქრს ბადებს. ეს ფიქრი კი პესიმისტური გრძნობით ავსებს პოეტს და თვალთაგან ცრემლს ადენს. უიმედოს იმედად მხოლოდ ისღა რჩება, რომ ადამიანის უბედურება სატირალია, მაგრამ არა საკვირველი; იგი აუცილებლად შეიცვლება, რადგან

„ამა სოფლისა დიდი და მცირე
არს ცვალებისა მხირე".

ალ. ჭავჭავაძე კვლავ განაზოგადებს კონკრეტული მიზეზით – სამშობლოს უბედურებით გამოწვეულ გულისტკივილს და „კაცთ უბედობაზე" მსჯელობს.

სოფლის წარმავლობას უძღვის პოეტი ლექსში „ვაჰ, დრონი, დრონი..." იგი, როგორც ყველა რომანტიკოსი, მტკივნეულად განიცდის დროის ცვალებადობას. დრო მიდის, ცხოვრება იცვლება, მისი რწმენა კი უცვლელი რჩება. პოეტის იდეალები და მისწრაფებები შეურიგებელ წინააღმდეგობაშია სინამდვილესთან. ალ. ჭავჭავაძე მაინც ცდილობს, შეინარჩუნოს სიმტკიცე. სწორედ აქაა მისი რომანტიკული სევდის სათავეც:

„ვაჰ, დრონი, დრონი, ნავებნი მტკბარად,
წარილტვენით, განჰქრით სიზმარებ ჩქარად,
მე იგივე ვარ მარად და მარად!
არ ვსდევ ჟამთა ცვლას, მე იგივე ვარ მარად და მარად?"

პოეტი საკუთარ განცდას წარმოაჩენს: მოშორდა მოყვასს, ახლობლებს, ცხოვრებას; უკვირს, რომ მაინც სულდგმულობს, იმედს არ კარგავს, რომ ბედი მასაც გაუღიმებს, მაგრამ იმედი გაურბის და „უსასოდ ყოფას" სიკვდილი ურჩევნია. პოეტმა მთელი ცხოვრება „ერთს" შეალია, მას მიუძღვნა თავი. ეს დაუკონკრეტებელი „ერთი", ვხვდებით, რომ სამშობლოა, რომელსაც „ემონების პოეტი მტკიცედ და მარად". თუ სამშობლოც მტკიცე იქნება, მაშინ რაგინდ მტერი ვერაფერს დააკლებს მათ. პოეტის პატრიოტული განცდა განსაკუთრებით მძაფრია ლექსის ბოლო სტროფებში. ალ. ჭავჭავაძეს ეჭვი ეპარება პყრობილი ადამიანის გრძნობაში. ეს ეჭვი კი ეწინააღმდეგება მის პიროვნულ სიმტკიცეს. აქ ჩანს ძიება პოეტისა, შეიცნოს საკუთარი თავი: მას, როგორც პყრობილს, რომელსაც ჩაკლული აქვს ადამიანური ღირსება და გრძნობები, შესწევს უნარი ჭეშმარიტი და მტკიცე ტრფობისა? საბოლოოდ ეჭვიან გონებას სძლევს გრძნობის სიმტკიცე:

„საკუთ-პყრობილმან უწყისა ტრფობა?!
საცა გინდ ვიყო, მასთან ვარ მარად,
მე იგივე ვარ მარად და მარად!
არ ვსდევ ჟამთა ცვლას, მე იგივე ვარ მარად და მარად!"

პოეტი არ დაემორჩილება დროთა ცვალებადობას; იგი მარად სამშობლოს ერთგული დარჩება. გვხიბლავს მისი სულიერი ძალისა და პიროვნული ღირსების გრძნობა. ეს გრძნობები რომანტიკული ხელოვნების მასაზრდოებელი ნიადაგია.

პატრიოტულ ლექსებთან ერთად ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში გვხვდება საზოგადოებრივი ჭირ-ვარამის ამსახველი ლექსებიც, რომლებშიაც ილია ჭავჭავაძე პოეტის „მოქალაქეობრივ გრძნობას" ხედავდა. სოფლის სამდურავი და იმქვეყნიური ცხოვრების ღრმა რწმენაა გამოხატული ალ. ჭავჭავაძის ლექსში „ვაჰ, სოფელსა და ამას..." პოეტი ილაშქრებს ყოველგვარი ჩაგვრისა და მჩაგვრელის წინააღმდეგ, უწოდებს მათ „ბოროტებისა და სიცრუის ჭურთ". იგი შეჰყურებს ქვეყანას და გული სტკივა, რომ მასში ბოროტება და სიცრუე სჭარბობს კეთილმოყვარეობას. ხალხის ერთი ნაწილი, რომლის ხელშია ძალა, ავიწროებს მეორე ნაწილს და მდიდრდება მისი „ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით". არა მხოლოდ ხალხი ცხოვრობს სხვისი ქონების მიტაცების სურვილით, არამედ თვით ყველაზე ძლიერი სახელმწიფოებიც ცდილობენ სხვა ქვეყნების დაჩაგვრას. რომელი სახელმწიფოც იმარჯვებს, ის მდიდრდება. პოეტის აზრით, ბრძოლით და სხვისი ჩაგვრით მოპოვებულ სიმდიდრეს არა აქვს არანაირი ღირებულება, რადგან „მძლეველი ქვეყანაც ბოლოს სხვისგან იძლევის" და „თვისგან ქმნილი თვისდავე მიექცევის".

ძალა ანადგურებს სიმართლეს, „მის ყვავილთა ფურხით ლახავს გზაზედა"; ადამიანები კი არაფერს ერიდებიან სიმდიდრის მოსაპოვებლად. ისინი იცვლიან სარწმუნოებას, რჯულს და აგროვებენ საუნჯეს „მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით". თვით მდიდარი მეფეებიც კი არ ერიდებიან სხვის ჩაგვრას; შეპყრობილნი არიან მეტის მოპოვების სურვილით. იგივე გრძნობები ამოძრავებთ მათ მოხელეებსაც.

პოეტი გამოთქვამს აზრს, რომ ჩაგვრა მარადიული არ არის, იმ ქვეყანაში ჩაგრული ნეტარებას მოიპოვებს, მჩაგვრელი კი – სამუდამო ტანჯვას. მისი რწმენით,

„რომელნიც აწ წარვებთ ღარიბთ ცხოვრებას
და ჰსთხოვთ ურცხვად, უსამართლოდ მონებას,
მოელოდეთ მათთან თანასწორობას,
არ მარადის იშვათ
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით".

არ იქნება სწორი, თუ ვიფიქრებთ, რომ ალ. ჭავჭავაძე ამ ქვეყანაშივე მოელოდა ბედნიერ ჟამს, თანასწორობას და ჩაგრულის დაფასებას; თუმცა გარკვეული კანონზომიერება ამ ქვეყანაშიც არსებობს, „ამა სოფლისა დიდი და მცირე არს ცვალებისა მხირე". მაგრამ ადამიანთა „მომავლის ნამდვილ ხატად" მას მაინც სიკვდილი მიაჩნია. სიკვდილი პოეტს სასოწარკვეთილებას როდი ანიჭებს. ალექსანდრე ჭავჭავაძე თავის სხვა ლექსებში ჩვეული სიდინჯით მსჯელობს სიკვდილის გარდაუვალობაზე და ამით ამსუბუქებს ადამიანის ხვედრს. სიკვდილის აღიარება მის შემოქმედებაში სრულიადაც არ გულისხმობს უარის თქმას სიცოცხლეზე, ადამიანის მოვალეობაზე, რადგანაც კაცი ამ ქვეყანაშივე იმზადებს საიმქვეყნო მომავალს, ჩაგრული – თანასწორობას, მტირალი – შვებას, უბედური – ბედნიერებას. ამას მოწმობს მისი „მოქალაქეობრივი გულისტკივილიც".

ამ ლექსში გატარებული იდეები ეხმიანება მის მიერ 1804 წელს ფრანგულიდან ნათარგმნ ფილოსოფიური შინაარსის ტრაქტატის ფრაგმენტს – „ახლოით განხილვილი კაცი". სადაც მკაცრად არის დაგმობილი სოციალური უთანასწორობა, ეროვნული ჩაგვრა და კერძო საკუთრება; საზოგადოებრივ უთანასწორობას კი უპირისპირდება ბუნების ჰარმონია.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ არაბული

# „ფხოველნი ჯვარის მსახურნი არიან და ქრისტიანობას იჩემებენ"

ანდრეზებიდან ცნობილია, რომ ქმალა მონაწილეობდა ქაჯავეთის დალაშქვრაშიც და მას იქ არცთუ უბრალო როლი შეუსრულებია – ჩამოუგლეჯია ჯაჭვი, საკიდელი, რომელიც კერიაზე სპეციფიურ ფუნქციას ასრულებს. მაგრამ ეს საკიდელი, რომელიც ქმალას ქაჯავეთის სამჭედლოდან აუგლეჯია, მხოლოდ უტილიტარული მნიშვნელობის არ არის. ის ქაჯავეთის სამჭედლოს კერიის, ანუ ქაჯავეთის გულისგულის სიმბოლური რელიქვიაა და საკრალური მნიშვნელობის შემცველია. ასე რომ, მისი აგლეჯა თუ ჩამოგლეჯა გამარჯვების, მტრის საცხოვრისის შუაგულის სამუდამოდ მოშლის ნიშანია.

„ქმალას წმიდაო გიორგიო,
ქაჯეთის ჯაჭვის ამგლეჯელო!"

ასე მიმართავენ ქმალას მთავარანგელოზს ერთ-ერთ სადიდებელში[1].

ხევსურეთის ადრინდელი რელიგიური შუაგულის – ქმალას დაცემა – იავარქმნას საყმოს მეხსიერება ზურაბ არაგვის ერისთავის სახელს უკავშირებს. ხევსურთა დაპყრობა დამორჩილების ბოლო მსურველი ფეოდალურ საქართველოში მართლაც ზურაბი იყო, მაგრამ მისი ლაშქრობანი, ისევე როგორც 1212 წლის ივანე ათაბაგის გამოსვლა ცენტრიდან, მიზნად არ ისახავდნენ მთიელთა რელიგიურ განწმენდას, მათ „მოქცევას". ამ მიზნით მხოლოდ ერთგზის, მირიან მეფის დროს „მცირედ წარმართა მახეილი ერისთავმა" და ამის შემდეგ ფხოველნი თითქმის აღარავის შეუწუხებია.

„ფშაველებში და ხევსურებში ადრე ჩაგდებული ქრისტიანობის ნაპერწკალი ჩაქრება, თუ იგი არ გაალვივეს ეკლესიის მსახურებმაო"[2], აღნიშნავს რაფიელ ერისთავი თავის „აღწერაში" და იქვე მიუთითებს, რომ ეს მათგან გარკვეულ ენერგიასა და თავდადებას მოითხოვს.

აი, ეს ნაპერწკალი ქრისტიანობისა არ უნდა ჩამქრალიყო და არც ჩამქრალა. სწორედ მის გაღვივებას ცდილობდა ვაჟა-ფშაველას მამა – მღვდელი პავლე რაზიკაშვილი, რომელსაც არაერთგზის უმოგზაურია ხევსურეთის სოფლებში ჭეშმარიტი ქრისტიანობის ქადაგების მიზნით.

ძალზე საინტერესოა ბოლოდროინდელი გათხრების საფუძველზე ქართველი არქეოლოგების გაკეთებული დასკვნაც: „განვითარებულ შუა საუკუნეებში ფშავ-ხევსურეთში თითქმის ყველა სოფელთან დასტურდება ქრისტიანული სამაროვანი და ნაეკლესიარი."[3]

კიდევ ერთ საკითხზე მინდა გავამახვილო ყურადღება.

ხევსურეთში კვირა „კვლუძრავი" უქმე იყო და არის დღესაც. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით კვირიას კულტში განსაკუთრებული ადგილი უკავია უქმობის რიტუალის უმკაცრეს დაცვას, რომელიც შაბათ საღამოს იწყება[4]. მის „დასანათლავად", რის შემდეგაც ნებადართული იყო მუშაობა, მთიბელ-მამკალში წელგამოვლილი, განსხვავებული „ზღვენი" იკვლოდა, რადგანაც ეს დღე სხვა ღვთაებებზე აღმატებული ღმერთის, ანუ მზე-ღმერთის დღე იყო.[5] შაბათიც ინათლებოდა იმავე მიზნით, მაგრამ მისთვის ჩვეულებრივი კრავის, ბატკნის დაკვლაც კმაროდა. სახმთოშიც „კვირაისათვის იკვლებოდა თხა"[6] და ხუცესი „მესამე თასზე აუცილებლივ კვირაეს ადიდებდა"[7].

ზოგადად აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მცხოვრებთა წარმოდგენით, ღვთაებათა პანთეონში მორიგე ღმერთის შემდეგ მეორე ადგილი კვირაეს უჭირავს. იგი მორიგეს „თანაშემწეა", მისი „ძალი და სამართალია", „ხთიშვილთა მეუფროსეა"[8], „ძლიერი ანგელოზია"[9], „ცალკე არსებაა, ხატია, წმინდანია"[10]; „კვირიას „ქმელთმოურავს" უწოდებენ. მორიგეს კარზეა და სამწერლობო აქვს გამართული. ხმელეთზე ყველა საქმეს კვირია განაგებს და, სანამ კვირიას არ შეეკითხებიან, ანგელოზები ვერაფერს გააკეთებენო"[11]. კვირია „მაღლის ხთის მოკარვეა", ხთის კარზე ცალკე უდგას კარავი[12] და ღვთისშვილებთან, ღვთისნაბადებთან აღმატებულია, დიდებულია, ძლიერია, მადლიანია, სამართლიანია... მისი „სამლოცველო კოშკი თვითეულ თემში თუ სოფელში არის"[13].

ხევსურეთში ხარს ასახელებდნენ კვირაისთვის და სახელსაც „კვირისას" არქმევდნენ, რაც ნიშნავდა, რომ მას კაცის გარდა კვირაეც მფარველობდა.

„ვინაც კვირაეს შაგაბას,
კელი შაახმას მკლავზედა."

კვირია და კვირიკა მამაკაცებს ერქვათ.

როგორც ჯვარის ყანები, ჯვარის სახვეგ ჯვარის ტყე ცალკე იყო გამოყოფილი კვირაის ყანებიც, საკვირაო წყალანი და, როგორც ემჩნევა, საკვირაო სათიბეც:

„თივაი საკვირაოდა
თორმეტი გედგა სარიო..."[14]

ცხადია, რომ ხევსურები კვირაეს სახელქვეშ გულისხმობენ სხვებზე ძლიერ რომელიღაც ღვთისშვილს. მკვლევარ ანდრო ლეკიაშვილს ბუნებრივად მიაჩნია, რომ

დასასრული. დასაწყისი იხ. „ბურჯი ეროვნებისა", №3,

კვირაეში, „ამ თეონიმში, უწინარეს ყოვლისა, იესო ქრისტეს ადგილობრივი ზედწოდება (მეტსახელი) დავინახოთ"[15].

პროფესორ ზურაბ კიკნაძის აზრით, „საყმოს რელიგიურ შეგნებაში მას (კვირაეს – თ.ა.) განცალკევებული ადგილი აქვს მიჩენილი: „კვირია არ ერევის ჯვრებში, საკუთრად უდგას კარავი, საკუთრად უნდა დაუკლას საკლავი. სხვა ანგელოზებთან ნაწილს არ იღებს"... არც მის სახელს აცხადებს, რომელიც საიდუმლოდ არის დამარხული. ყმათა ბაგე მარხულია ქრისტეს სახელის წარმოსათქმელად: ქრისტე მის ბერძნულ ეპითეტში – „კვირაე"–შია ჩამარხული და ჩასაიდუმლოებული"[16].

თუ ბავშვები უნებლიეთ ან უმეცრებით „კვირაეს შეურაცხყოფდნენ", კვირა დღეს რაიმე იარაღს იხმარდნენ, იმავე იარაღისთვის პირზე სამჯერ უნდა ეკბინათ და სამჯერ წარმოეთქვათ – „შემინდევი კვირაო". ამგვარადვე ინანიებენ მჭედლები თავიანთ ცოდვას ვაჟა-ფშაველას „ამირანშიც".[17]

სახარება კი გვასწავლის, რომ „კაცის ძეს დედამიწაზე აქვს ცოდვების მიტევების ხელმწიფება" (მარ. 2,10).

მაგრამ ქრისტე ღმერთს აქვს შემცოდეთა დასჯის ხელმწიფებაც. „ქრისტიანული ეკლესიის მიერ დიდ ცოდვად იქნა აღიარებული კვირა-უქმეს გატეხა, რაც, ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, „ღვთის რისხვას"– ღმერთის მიერ ცოდვილთა ცეცხლით დასჯას იწვევდა. ამგვარი ძალაუფლება განსაკუთრებით მიეწერებოდა ქრისტეს, როგორც ადამიანთა მსაჯულს მეორედ მოსვლის დღეს, „განკითხვის დღეს" და რომელსაც ცოდვილთა დასასჯელად „ხელ-ეწოფების შთაგდებად გეჰენიასა ცეცხლისასა."[18]

ძალზე საინტერესოა ამ კუთხით, ცოდო-მადლიანთა გარჩევისათვის, თარხანათ გაგას ნაუბარი, რომელსაც ხევსურნი წინასწარმეტყველის უნარს მიაწერენ. „ბედიანა ისივენა ილოცავსავ ღმერთსავ, კვირაესავ დარჩებიანავ უცოდონივ, უმეცარნივ, სამან-სამძღვრის უმეცარნივ, მადლივ, ბარაქავ მაშინ იქნებავ უვალივ მაშინ გადმადისავ დედამიწაზედავ. თუ დარჩებიანავ მოზრდილებივ, ისენივ პირქვავ მიწაზე დაეტყვრებიანავ და რო ადგებიანავ, იმ გულ-გონებისა აღარ იქნებიანავ. უვალივ გულსა გონებას შაუცვლისავ იმათავ. სიწმიდის დარზედავ ცივ ნამს დახვრისავ და მით გვარჩევიანავ საბოლოოდავ არამნივ, ალალნივ..."[19]

ძნელი არ უნდა იყოს აქ აპოკალიფსური პასაჟების ამოცნობა.

„ხოლო მხდალთა და ურწმუნოთა, ბილწთა და მკვლელთა, მეძავთა და მწამლეველთა, კერპთაყვანისმცემელთა და ყოველთა ცრუთა ხვედრი ტბაშია, ცეცხლითა და გოგირდით მოგიზგიზეში. ეს არის მეორე სიკვდილი" (გამოცხ. 21,8).

სოფელ წინხადუში ასეთი შემთხვევა მომხდარა. ოქრომჭედელ თაველექას, რომლის ხელობაც განთქმული ყოფილა, ერთ დილას ბრმას, უჩინარს გაუღვიძია. შვილები ბევრს ცდილან ჯვართანაც და კაცთანაც, მაგრამ მამისთვის ვერაფერი უშველიათ. ბოლოს ერთ-ერთ თვალზე ოპერაცია გაუკეთებინებიათ. მაგრამ არც ცნობილი პროფესორის მცდელობას მოჰყოლია შედეგი. ზუსტად 7 წლის თავზე თაველექას ერთ დილას ცალი თვალით (იმით, რომელსაც ექიმები არ შეხებიან) გამოუხედია და ყველაფერი უნახავს. ყოველ შემთხვევაში, ამ ამბავს ასე ყვებიან.

თაველექას, რა თქმა უნდა, კვირაემ ან სხვა რომელიმე ღვთისშვილმა მოუვლინა ეს განსაცდელი, დააბრმავა და საკუთარ გონთან, წარსულთან და აწმყოსთან მარტო დატოვა. იგი უნდა ჩაღრმავებოდა თავის ყოფას, სულიერად უნდა გარდასახულ-გარდაქმნილიყო, საკუთარი თავი ხელმეორედ ეშვა, ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, გადაესინჯა თავისი დამოკიდებულება ჯვარ-სალოცავებისადმი.

შემთხვევითი არ უნდა იყოს არც ის, რომ მისი სიბრმავე საკრალური დროით – 7 წლით მოისაზღვრა. ყაზბეგმაც ხომ 7 წელი იარა მეცხვარედ ალექსანდრეს – „მომავალი მწერლის გონებამ იმ წრის ცხოვრების წესი, რომელსაც შთამომავლობით თავად ეკუთვნოდა, სიბნელედ გაიაზრა და სინათლისაკენ იწყო ლტოლვა. ეს გზა იყო ყაზბეგის განწმენდის, განკაცების, სულიერი „ლაბუშობის" (ღვთაებრივი ხელობის) გზა".[20] იქნებ ყაზბეგსაც ზეცამ გადაადგმევინა ეს ნაბიჯი.

სახარება გვასწავლის: „მოდით ჩემთან ყოველნო მაშვრალნო ტვირთმძიმენო და მე მოგასვენებთ თქვენ... ვინაიდან ჩემი უღელი სასმურია და ჩემი ტვირთი – მსუბუქი" (მათე. 11, 28, 30).

1. თსუფა №25460
2. რ. ერისთავი, დასახელებული წიგნი, გვ. 70
3. ზემოაღნიშნული საკითხი დაწვრილებით აქვს განხილული მკვლევარ ანდრო ლეკიაშვილს თავის წერილში- „კვირია-მაცხოვარი", ჟურნალი „ცისკარი", 5.XII.1986 წ., გვ. 159–164;
4. გ. რჩეულიშვილი, ფშავის არაგვის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 122
5. ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, თსუ, თბილისი, 1979, გვ.116.
6. ალ. ოჩიაური, სტუმართმასპინძლობა ხევსურეთში, მეცნიერება, 1980, გვ. 153
7. ალ. ოჩიაური, დასახელებული წიგნი, გვ. 155
8. ზ. კიკნაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 59
9. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ტ. IX, თბილისი, 1964, გვ. 80
10. აკ. შანიძე, დასახელებული წიგნი, გვ. 583
11. ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბილისი, 1984, გვ. 230
12. თსუფა, №25405
13. ს. მაკალათია, დასახელებულიწიგნი, გვ. 239
14. თსუფა, №23833
15. ა. ლეკიაშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 159
16 ზ. კიკნაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 59-60
17. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი ათ ტომად, ტ.I, თბილისი, 1964, გვ. 11
18. ა. ლეკიაშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 163
19. თსუფა, №27103
20. გ. ჯავახიძე, „შორის ნათელსა და შორის ბნელსა", ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №2, 1981, გვ. 18–19



საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ყურძნის შენახვა

*1935–36 წლებში ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, შეგროვდა მასალები საქართველოს მიწათმოქმედებისა და ხელოსნობის შესახებ, რომელიც მოგვიანებით გამოიცა 5 ტომად (სულ 9 წიგნი ტ.I, 1976; ტ. V, 1992). ამ მასალების შეკრება, პირველ ყოვლისა, მიზნად ისახავდა შთამომავლობისათვის შემოენახა ცნობები ქართველთა კულტურისა და ყოფის, ტრადიციული მეურნეობის შესახებ, რადგან ბევრი რამ გაქრობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. თვად ივ. ჯავახიშვილმა ამ მასალებს „წარსული კულტურის უკანასკნელი ანარეკლის ენციკლოპედია" უწოდა. ჟურნალის რედაქცია პერიოდულად შემოგთავაზებთ ამოკრეფილ მასალას ამ წიგნებიდან. ტექსტები ჩაწერილი დიალექტებზე, ამიტომ საჭიროების შემთხვევაში დართული აქვს კომენტარები. ვფიქრობთ, მართლა საინტერესო იქნება როგორც ეთნოგრაფებისთვის და ფილოლოგებისათვის, ისე ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის. სამწუხაროდ, ყველა ტექსტს არ ახლავს ზუსტი მონაცემები ჩაწერის ადგილისა და მთხრობელთა თაობაზე*

გავთხრიდით მიწას, დაუყენდით თივას და ჩავაწყენდით ვაზს. ზევიდან გადავაფარებდით ფიცარს და დავაყრიდით თივას ზევიდან და დავაყრიდით მიწას, რომ არაფის არ ეცნო, დავახორავებდით სარსა.

იანვარი რომ მოვიდოდა, ახალწელიწადს პატრონი გაატანდა ყვერულს მორბედსა. დავკლავდით ზოგი იქვე და ზოგი ღვინის დაუსხავდით ვაზსა და მოულოცავდით და ვიტყოდით: „აი, მოგვილოცა, ასეთივე წითელი მოსავალი მოგვცე". პატივს დაუყრიდით გოდრით ძირში და ვეტყოდით: „აი, შენი მოცემული ღვინო შენვე მოგილოცე და შენვე მოგვეცი მრავალი ღვინოვო; აი, პატივი მოგეცი, ძალა მოიმატე".

ასე ყურძნის მაისამდე შეიძლება შენახვა. იმ ვაზსა რომ ავაყენებდით, [ყურძენი] ისე მთელი იყო, როგორც თავისთავად. სითფოც ჰქონდა და სიგრილერა წაახდენდა? სითფო თუ სიცივე?

**სოფ. რუისი, 1936 წ.**
**მთხრობელი პეტრე ენუქაშვილი, 80 წლის**

–ყურძენს ჩვენ ნახერხშიაც ვინახავთ. ყუთში ძირს გაუშლით ნახერხსა. შემდეგა მიურიგებთ სრულიად მტევანს, დავაწყობთ, შემდეგ კიდევ ერთ რიგსაკიდევ ნახერხს დავაყრით და კიდევ ყურძენს მოურიგებთ, და ისევ წვერამდი ავიტან და აიმსება ყუთი. მხოლოდ [ყურძენი] მზით გამშრალი უნდა იყოს და მზით ისე უნდა ჩაალაგო ნახერხითა. ყუთი უნდა იდვას გრილაში, ცოტა მაღლა, რომ ქარი უვლიდეს.

**სოფ. მეჯვრისხევი, 1935**
**მთხრობელი წყალობა მესტუმრე, 99 წლის**

---

# ქსოვა

**ქსოვა** დია ჸ ცის საქმე არის. ქსოვენ საუცხოოდ. იტყვიან: „ერთ ძველ დია ჸ ცს უთქვამვისავ – თუმ დია ჸ ცის ხელსავ ქსო–ოქრო გამოზდისაო".

ქსოვენ მატყლის ნაზდისაგან (ნართი).

**მატყლი და მისი ხარისხი. მატყლი** არის ცხვრისა და ბატკნისა. ცხვრისას (დედალი ცხვრისაა, თუ მამალი) ეწოდება **მატყლი,** ბატკნისას (5 1/2 თვისას) კი – **კრაველი.** პირველი მაგარია, მეორე – რბილი.

მატყლი არის **შემოდგომისა** და **გაზაფხულისა;** უკანასკნელს (ზამთარში მოსულს და გაზაფხულზე გაპარსულს) **რისვი** ჰქვიან.

**ნაზდის (ნართის) დამზადება.** დია ჸ ცებ ქსოვისათვის ჯერ **ბაწარს** დაამზადებენ და მერე ქსოვას შეუდგებიან. საქმე იწყება შემოდგომაზე და თავდება გაზაფხულზე. ღვინობისთვეში **მატყლს არჩევენ,** იღებენ ცხვრის მატყლსაც და ბატკნისასაც; გადარჩეულ მატყლს რეცხავენ; ამისათვის **ნაპარსს** (ერთი ცხვრის მატყლს) წინასწარ სამ-ოთხ ნაწილად გაყოფენ. ამ ნაწილებს ეწოდება **ტყლაპი;** ამ ტყლაპებს გარეცხავენ, გააშრობენ და ისე შეინახავენ (მათაც ისევ ტყლაპი ეწოდება); გიორგობისთვეში ჩეჩენ (საჩეჩი გიორგობისთვეში უნდა გათავდეს). ქრისტეშობისთვეში და იანვარში აზდავენ (ართავენ), თებერვალში **ზძახვენ** (გრეხენ), მარტ–აპრილში **ქსელს ხქსოვენ.**

. . .

**მატყლი** თუ საფლასედ (საფარდაგედ) უნდათ, ერთხელ ჩეჩენ, თუ **სატოლედ** (საშალედ), – ორ–სამჯერ. თუ **შეღებვა** უნდათ (მაგ., ტოლისათვის), მაშინ **ჯერ** ერთხელ **გაჩეჩავენ,** მერე **შეღებავენ** და **მერე კიდევ ორჯელ** გაჩეჩენ.

მატყლს რომ დარეცხავენ, მერე პირველად დაჩეჩავენ და შეკონავენ ისევ ერთად. ამ პირველ დაჩეჩილ–შეკონილ მატყლს ეძახიან **ქაბილა** ჸ ს. მატყლი საჩეჩელზე იჩეჩება. აქ **მატყლის წვერ იმარჯვებ, ძირ იწეწებ,** ე.ი. წვერი იმარჯვება, ძირი კი იწეწება. ანუ ზევითა გრძელი და კარგი მატყლი ცალკე ერჩევა და ცალკე კეთდება; ის არის **წვერი** ან **წვერ-მარჯვეო,** რომელიც ძირს რჩება, ის არის კვერტი ან **ძირ–გაწეწილა** ჸ ი. პირველიდან ტოლებს ქსოვენ. მეორიდან– ფლასებს, ტომრებს, ხაკებს.

ამის შემდეგ **წვერს,** ე.ი. კარგ მატყლს, მეორედ გადაჩეჩავენ და **დააკრევლებენ,** ე.ი. **კრეულად,** ანუ კრევლად (ფართოდ) გამოიყვანენ, ანუ გააკეთებენ.

**საზდავი** (სართავი)იარაღი. მატყლის გასაზდავი (დასართავი) იარაღი არის **კელტარა** და **სახრელი. კელტარა** ჸ ი ჩვეულებრივი ტარია ხისა. **სახრელი** ფიჭვის ხისაგან გაკეთებული სატრიალებელია ტარისა; იგი ოთხკუთხაა. ზევითა მხარეს აქვს **საზდავა** ჸ **გული,** ე.ი. მრგვალი და ოდნავ ჩაღრმავებული ადგილი შუა ნაწილში; გულიდან კუთხეებისაკენ მისდევენ **ბოძები.** გვერდის მხარეს აქვს **ოჯის სანახავა** ჸ ი, ე.ი. კვის შესანახი ადგილი ის ამოთხრილია და აქვს თავის **სახურავა** ჸ ი, რომელიც შეკრება გადარულ ადგილებში. ძირს აქვს ისეთივე ამოთხრილი **ციცა** ჸ **ის საჭმელა** ჸ ი. სადაც ციცას რძეს ჩაუსხამდენ ხოლმე („ციდვაიწ იყვ, რომ არ გვეჭმიაო") და [აქვს] აგრეთვე ექვსი ფეხი.

სახრელის ზედაპირი და გვერდები ხშირად ნაჭრულით არის შემკული.

*ჩაწერილია გიორგი ბოჭორიძის მიერ, თუშეთში 1935 წელს სხვადასხვა მთხრობლისაგან.*

პუბლიკაცია მოამზადეს
**ნანა გიორგობიანმა და მაია აშაძემ.**

რეცენზია

# „ათას ერთი ღამის“ ქართული თარგმანის გამოცემის დამთავრების გამო




უკანასკნელი წლების ჩვენი დუხჭირი ცხოვრების ფონზე ბევრ ცუდთან ერთად სასიხარულო სიახლეებსაც ვაწყდებით ხოლმე 1997 წელს, დიდი ხნის შეფერხებისა და ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა ქართველმა მკითხველმა „ათას ერთი ღამის“ მერვე ტომი მიიღო, რითაც გასრულდა არაბული ფოლკლორის ამ შესანიშნავი ძეგლის პირველი სრული ქართული თარგმანის გამოცემა (I ტომი ამ თარგმანისა 1967 წ. გამოვიდა). მრავალი ერის მსგავსად, ქართველთაც მიეცათ საშუალება მშობლიურ ენაზე იკითხონ „ათას ერთი ღამე“, რომლის პოპულარობამ საუკუნეებს გაუძლო არა მხოლოდ აღმოსავლეთში, არამედ ევროპასა და მთელს მსოფლიოში.

ამ რვატომეულის გამოცემის დასრულებით დაგვირგვინდა ის დიდი საქმე, რომელსაც ქართული სემიტოლოგიის ფუძემდებელმა და კორიფემ აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა დაუდო სათავე, ვისი მონდომებითაც დაიწყო ამ თარგმანზე მუშაობა და ვინაც გახლავთ კიდეც რვავე ტომის უცვლელი რედაქტორი. ამ გადასახედიდან კიდევ უკეთ გამოჩნდა ამ დიდი მკვლევარის მასშტაბური თვალთახედვა. მან ხომ ქართული სემიტოლოგიის სკოლას მოქმედების სხვადასხვა არეალი გადაუშალა, რომელთა შორის ერთ-ერთი მიმართულება სწორედ სერიოზული მთარგმნელობითი მუშაობის დაწყება იყო.

შემთხვევითი არ არის, რომ ქართულ ენაზე ასახმოვანებლად არაბული სიტყვიერების ბრწყინვალე ნიმუშთა შორის გ. წერეთლის არჩევანი სწორედ „ათას ერთ ღამეზე“ შეჩერდა. ეს ძეგლი ფასეული და კარგად ცნობილია არა მხოლოდ სპეციალისტთათვის – არაბისტთათვის ან თუნდაც აღმოსავლეთმცოდნეთათვის. მას სიამოვნებით კითხულობს მთელი მსოფლიო– სხვადასხვა ერის, რწმენის, ტრადიციების, კულტურისა და ცივილიზაციის, სხვადასხვა ასაკის ადამიანები, განსხვავებული ლიტერატურული გემოვნებითა და მისწრაფებებით და მათთვის ყველასთვის იგი ერთნაირად მიმზიდველი და მომხიბლველია: ყველა თავისი გულის, გონებისა და ყურის დამატკბობელ ბევრს რასმე პოულობს მასში.

ამ ძეგლის მიმართ არსებული საყოველთაო და გაუნელებელი ინტერესით აიხსნება, ალბათ, ის უამრავი გამოცემა, სხვადასხვა ვერსია და ვარიანტი, არაერთი თარგმანი, რომლითაც მსოფლიო ეცნობა და კითხულობს „ათას ერთ ღამეს“ და რაოდენ სასიამოვნო და საამაყოა, რომ მათ შორის უკვე ორიგინალიდან შესრულებული პირველი სრული ქართული თარგმანიც შეგვიძლია დავასახელოთ და თავი მოვიწონოთ.

არც ის არის შემთხვევითი, რომ ეს ურთულესი საქმე თავად გიორგი წერეთელმა თავის მოწაფეებს, მაშინ ახალგაზრდა და დღეს ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთა შორის უკვე კარგად ცნობილ, ღვაწლმოსილ და ამაგდარ მეცნიერებს პროფ. ნანა ფურცელაძეს და დოც. თინათინ მარგველაშვილს მიანდო. დრომ გაამართლა მისი არჩევანი. თარგმანი შესრულებულია მაღალ პროფესიულ დონეზე, დიდი ცოდნითა და რუდუნებით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მთარგმნელებმა არაბული ლიტერატურის ამ შესანიშნავი ნიმუშის თარგმნით ქართული მთარგმნელობითი სკოლის ტრადიციები ბევრად გააღრმავეს და გაამდიდრეს, ქართულად თარგმნილ ლიტერატურას, ქართველ მკითხველს კიდევ ერთი მაღალმხატვრული თარგმანი შესძინეს.

ბევრი დამეთანხმება, არც ისე ხშირია ჩვენს სინამდვილეში აკადემიური აღმოსავლური (და მით უფრო, არაბული) თარგმანები. „ათას ერთი ღამის“ ეს თარგმანი კი, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, სწორედ რომ აკადემიურია. პირველ ტომს წამძღვარებული გ. წერეთლის წინასიტყვაობა თავისთავად მეცნიერული ხასიათის სტატიაა, რომელიც ამომწურავ ცნობებს იძლევა ამ ძეგლის წარმომავლობის, მასში შემავალი პლასტებისა და სხვადასხვა წარმოშობის კომპონენტების, მისი ვერსიების და დამატებების, დედნის სხვადასხვა არაბული გამოცემების, ევროპული თარგმანებისა და მათი მეცნიერული თუ მხატვრული ღირებულებების შესახებ, მიმოიხილავს მთელ კორპუსს სამეცნიერო ლიტერატურისა, რომელიც კი „ათას ერთი ღამის“ შესახებ შექმნილა, აანალიზებს და ერთმანეთს უდარებს მათ შეხედულებებს და მკითხველს აწვდის მეცნიერულად ყველაზე უფრო დასაბუთებულ და სარწმუნო ვერსიებს. გადაუჭარბებლად ვიტყვი, რომ ეს სტატია არა მხოლოდ მოყვარული და აღმოსავლური ლიტერატურით დაინტერესებული არაპროფესიონალი მკითხველისათვის, არამედ თავად სპეციალისტთათვისაც კი საკმაოდ გამოსადეგი, ფასეული, ინფორმაციულად ტევადი და ბევრისმომცემია. გარდა ამისა, ყოველ ტომს ერთვის განმარტებანი, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა შესანიშნავი მეცნიერული კომენტარები ტექსტისა და რომელიც მკითხველის უბადლო და შეუცვლელი გზამკვლევია აღმოსავლური რეალიების, ყურანის, ისლამის დოგმებისა და რელიგიური რიტუალების, მუსლიმური კანონმდებლობის, ბიბლიურ თემებზე არაბული გადმოცემების, არაბული ადათ-წესებისა და ყოფითი ჩვეულებების იმ ელემენტთა ასახსნელად და გასაგებად, რომლითაც, ბუნებრივია, გაჯერებულია „ათას ერთი ღამის“ ტექსტის ყოველი სტრიქონი და რომელიც ისე ოსტატურადაა მოტანილი თარგმანში მკითხველამდე, რომ არც დედნის თავისებურებანია დაკარგული და აღმოსავლური კოლორიტი, უცხო არომატი მძაფრად იგრძნობა. ამასთან არც ქართული ენობრივი პლასტია დამახინჯებული და ქართველი მკითხველისთვის ყურში ცუდად მოსახვედრი. მთარგმნელთათვის კარგად არის ცნობილი, რაოდენ ძნელია ამ ბეწვის ხიდზე გავლა, აფთიაქარის სიზუსტით ამ ორი მხარის გაწონასწორება და მკითხველამდე შეურყვნელად მიტანა. ეს მხოლოდ რჩეული თარგმანების ხვედრია ხოლმე და მთარგმნელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ „ათას ერთი ღამის“ თარგმნისას ამ ურთულეს ამოცანას მათ წარმატებით გაართვეს თავი.

„ათას ერთი ღამის“ ქართული თარგმანის მთავარ ღირსებად სწორედ ის მიმაჩნია, რომ, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, იგი აკადემიური გამოცემაა, მაგრამ აკადემიზმი და ზედმიწევნითი სიზუსტე თარგმანს მხატვრულ ღირებულებას როდი უკარგავს და უბრალო, არასპეციალისტი მკითხველისთვის მშრალ, აღმოსავლური ყოფის ამსახველი ელემენტებითა და ლექსიკით გადატვირთულ, არაბუნებრივ და უინტერესო წიგნად როდი აქცევს, არამედ იკითხება ცოცხლად, ლაღად და ძალდაუტანებლად.

თარგმანის ეს ღირსება კიდევ უფრო მეტ ფასს ადებს მას არაბისტთა თვალში, რომელთაც იციან, თუ რაოდენ სირთულეებთან არის დაკავშირებული და რა ტიტანურ შრომას მოითხოვს არაბული ლიტერატურის ნებისმიერი, მეტ-ნაკლებად გამორჩეული ნიმუშის გამართული, თუნდაც არააკადემიური, თავისუფალი თარგმანიც კი.

დასასრულ, როგორც არაბისტმა, მინდა ვინატრო, რომ ქართველი მკითხველის ბიბლიოთეკას მისთვის ნაკლებ ცნობილი არაბული ლიტერატურის კიდევ ბევრი ბრწყინვალე შედევრის რაც შეიძლება მეტი მაღალპროფესიული დონის თარგმანი შემატებოდეს.

**დარეჯან გარდავაძე**

*თსუ სემიტოლოგიის კათედრის არაბული ენის მასწავლებელი*

# რევაზ მიშველაძის „ასი ახალი ნოველა"




რევაზ მიშველაძის „ასი ახალი ნოველა", ისევე, როგორც ამ ავტორის მთელი შემოქმედება, მკვეთრად გამოხატულ რეალისტურ პრინციპებს ეყუდნება, როგორც მსოფლმხედველობის, ისე გამომსახველობის მხრივ. ბუნებრივია, ამდენადვე ლიტერატურული ნაწარმოების განხილვა მხოლოდ იმ პრინციპების შესაბამისად შეიძლება, რომლებიც საფუძვლად უდევს კონკრეტული მწერლის კონკრეტულ თხზულებას. რასაკვირველია, მკითხველს უფლება აქვს, მიიღოს ან არ მიიღოს მხატვრული ქმნილება და არჩევანი თავისი ბუნების შესაბამისად გააკეთოს. შესაძლოა, ის მკითხველი, რომელიც მეტისმეტად არის ორიენტირებული საკუთარ შინაგან პრიზმაზე, ძნელადაც აღიარებს ამდენად რეალისტურ, ამდენად ექსტრავერტულ მწერლობას. მაგრამ, რამდენადაც სწორედ ადამიანური ბუნების მრავალფეროვნება განაპირობებს ხელოვნების მრავალფეროვნებასაც, რეალისტურ ქმნილებებსაც ყველა დროსა და ეპოქაში ჰქონდათ განსაკუთრებული, ხშირად კი განმსაზღვრელი ფუნქცია. შესაძლოა, აქვე წამოიჭრას კითხვა: რამდენად განმსაზღვრელია დღევანდელ ქართულ მწერლობაში რეალისტური ხაზი, ის ხაზი, რომლის უშუალო მიმდევრადაც უპირველესად სწორედ რევაზ მიშველაძე იგულისხმება? ალბათ, შეიძლება ითქვას, რომ დღეს ერთგვარად მიჩქმალა ინტერესი რეალიზმის მიმართ. ამას კი ორი ფაქტორი განაპირობებს: ერთი მხრივ, როგორც ჩანს, რეალიზმი ჩვენს ცნობიერებაში ჯერ კიდევ ძალიან მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალისტური რეალიზმის მკვდარ, იდეოლოგიზირებულ თეორიასთან. არა მხოლოდ ქართულ, არამედ მთელს პოსტსოციალისტურ სივრცეში მკითხველი არის, თითქოს ითქვას ერთი წარსულში გაბატონებულ სოციალისტურ ტენდენციაზე ისე, რომ ამას გადააყოლოს ინტერესი ჭეშმარიტი რეალიზმისადმიც. მეორე მიზეზი კი უკავშირდება იმ ფაქტორსაც, რომ ჩვენში XX საუკუნის მიწურულს განახლების პროცესი კვლავ დაკავშირებულია მოდერნიზმის ეტაპის ხელახალ გათავისებასთან, რაც, შესაძლოა, კანონზომიერიც იყოს, თუ ვისურვებდით ჩართვას მსოფლიო ლიტერატურულ პროცესში: ამ პროცესის განვითარება ხომ სწორედ მოდერნიზმის მიერ დასახული გზით წარიმართა, რაც, თითქოს, ქრონოლოგიურად რეალიზმის ტენდენციას. მაგრამ სწორედ ამ გზამ დაგვანახა, რომ რეალისტური მსოფლმხედველობა, რეალისტური მწერლობა არ არის ისეთი მოვლენა, რომელიც თვითონ გადაფასდებოდა და გარკვეულ ეტაპზე მარტო მოკვდებოდა. ამისდა საწინააღმდეგოდ, ყველასათვის ცხადი გახდა, რომ რეალიზმი კვლავ დარჩა ერთ-ერთი გაბატონებულ გზად, რომ რეალიზმი და მოდერნიზმი (ან, უკვე, პოსტმოდერნიზმი) იქცნენ ერთგვარ პარალელურ მოვლენებად. ერთი მხრივ, XX საუკუნის ხელოვნება მთელი არსებით აღდგა ტრადიციული ესთეტიკისა თუ მსოფლმხედველობის წინააღმდეგ, მეორე მხრივ კი, მან მთელი სისავსით შეინარჩუნა ამგვარი ტრადიცია. ალბათ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ რევაზ მიშველაძე სწორედ რეალიზმის მხატვრულ-ესთეტიკური და მსოფლმხედველობრივი ტრადიციის გამგრძელებლად გვევლინება. მისი შემოქმედება მართლაც წარმოადგენს გარესამყაროს მხატვრულ ასახვას. მას მართლაც ახასიათებს რწმენა იმისა, რომ „ხელოვნების ხერხების მეშვეობით შეიძლება შეეცნოთ ობიექტურ-რეალური სამყაროს არსი". მისი ხელოვნება მართლაც არის „სინამდვილის სულიერ-პრაქტიკული ათვისების ხერხი". დღევანდელ საქართველოში ის კვლავაც ასრულებს „გარემოების საკუთრის" ფუნქციას და კვლავაც დგას სამოციანელთა მიერ დამკვიდრებული მსოფლმხედველობრივი და ესთეტიკური პრინციპების სამსახურში, რომლებიდან ერთ-ერთი უმთავრესი თითოეული ადამიანის მწერლისა თუ მკითხველის პიროვნული პასუხისმგებლობის პრინციპი გახლდათ. სწორედ სამოციანელები ხაზგასმით ამბობდნენ, რომ ყოველი ჩვენგანის პასუხისმგებლობის სფეროში შედიოდა ყოველივე ის, რაც ხდებოდა, ერთი მხრივ, ჩვენს სულიერ სამყაროში, მეორე მხრივ, მთელს გარესამყაროში (ჩვენს ეზო-კარში, ჩვენს საზოგადოებაში, ჩვენს ერსა თუ ქვეყანაში). სამოციანელთა ამ პრინციპის ცხოველქმედება XX საუკუნის საქართველოში ორი მოვლენის ძალით შენელდა: მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმისა. ეს უკანასკნელი პოზიცია (რომელიც გულისხმობდა, რომ თითოეული პიროვნება პასუხისმგებელია მხოლოდ პარტიის ან ნაციის სამშობლოს წინაშე და რომელიც თვლად ათავისუფლებდა ადამიანს ჭეშმარიტების წინაშე ჭეშმარიტი პასუხისმგებლობისაგან) დღეს იმთავითვე არის უარყოფილი. მაგრამ მოდერნისტული პოზიცია, ალბათ, კვლავ მახლობელია. რამდენად მწვავედ ისახებოდა მოდერნიზმში პიროვნული პასუხისმგებლობის პრობლემა? მოდერნისტული ეპოქის პიროვნება ხომ უარს აცხადებდა პასუხი ეგო გარესამყაროს პროცესებზე, რადგან საკუთარ თავს ამ პროცესების მონაწილედ არ მიიჩნევდა (ცნობიერად). მაგრამ, ამასთანავე, თვლიდა, რომ ბრძოლა მასაც მოუძღოდა (ქვეცნობიერად). თუკი საუკუნის დასაწყისში ადამიანისათვის მთავარი ბრძოლის ასპარეზი საკუთარი შინაგანი სამყარო იყო (რის გამოც აღარ რჩებოდა ძალა, ეფიქრა გარესამყაროს წინააღმდეგობებზე), დღეს ჩვენთვის საკუთარი შინაგანი სამყარო იქცა ერთადერთ ნაცნობ, ერთადერთ მახლობელ რეალობად. ჩვენ ხომ იმდენად უმწეოდ ვგრძნობთ თავს ჩვენს ირგვლივ მიმდინარე სოციალ-პოლიტიკური პროცესების (ან, იქნებ, სოციალ-პოლიტიკური თამაშების) წინაშე, რომ ერთადერთ თავშესაფრად ისევ საკუთარი ბუნება გვრჩება. როცა უმრავლესობას აღარ გვყოფნის ძალა, გავუძლოთ პრობლემების მოზღვავებას, როცა ვცდილობთ, თვალი ავარიდოთ საზოგადოებრივ პრობლემებს, თავი დავარწმუნოთ, რომ ერთადერთი გამოსავალი ამ ქაოსიდან ისევ საკუთარი შინაგანი სამყაროს ხსნა იქნება და ამ რწმენით გავათავისუფლოთ თავი გარესამყაროს პროცესებზე პასუხისმგებლობისაგან, რევაზ მიშველაძის ნოველები თითქოს ერთგვარ დისკომფორტსაც გვიქმნის, რადგანაც დაგვაეჭვებს ჩვენივე ცხოვრებისეული პოზიციის სისწორეში, რადგან გვაიძულებს, ხშირად თუ იშვიათად ჩავუფიქრდეთ ეროვნულ თუ საზოგადოებრივ პრობლემებს, ჩავუფიქრდეთ, ესე იგი, ჩვენს თავზე ავიღოთ გარკვეული პასუხისმგებლობა. რასაკვირველია, მწერალი ვერ განაცხადებს, რომ თითოეულმა ადამიანმა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე უნდა იბრძოლოს სამართლიანობისათვის, მაგრამ ის ითხოვს თითქოს სულ მცირედს, რომ თითოეულმა ადამიანმა იფიქროს ეროვნულ თუ სოციალურ უსამართლობაზე. რასაკვირველია, სავსებით ცხადია, რომ ამგვარი ფიქრი ქმნის შინაგან დაპირისპირებას უსამართლობასთან, რის გარეშეც არ წარმოიშვება აშკარა წინააღმდეგობა. მეორე მხრივ, აშკარაა, რომ ამგვარი ფიქრები გარკვეულ ეტაპზე შეიძლება სრულიად გაუსაძლისი აღმოჩნდეს ადამიანისათვის და ისიც, საკუთარი უმწეობის ფონზე, შეეცდება, რომ გადაივიწყოს ისინი. სწორედ ამ დროს რევაზ მიშველაძე იმ ეტაპს გვაგონებს მიხეილ ჯავახიშვილის „თეთრი ქვერცხლიდან", რომელიც არაფრით აძლევს სინდისის უფლებას, განმარტოვდეს თავის წარმოსახვით, ილუზიურ სამყაროში და თვალი არ გაუსწოროს რეალობას, როგორც მტკივნეულიც არ უნდა იყოს ეს.

რასაკვირველია, რეალისტური მწერლობის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი ყოველთვის იყო მამხილებელი პათოსი. ბუნებრივია, ეს პათოსი მკვეთრად არის გამოხატული რევაზ მიშველაძის „ას ახალ ნოველაშიც" და სწორედ ამის გამო მათი აღქმის პროცესში მკითხველი ვერ დარჩება ნეიტრალური. რასაკვირველია, ჩვენ არც გვაქვს უფლება, ერთნაირად აღვიქვათ, ერთი მხრივ, დიკენსის მიერ საკუთარი (ჩვენთვის შორეული) ეპოქის კრიტიკა და თანამედროვე მწერლის მიერ მხილებული თანამედროვე მანკიერებანი. მართალია, ორივე შემთხვევაში მანკიერებებს ერთი და იგივე მიზეზი განაპირობებს, მაგრამ დიკენსის კითხვისას ჩვენ შეგვიძლია, თავი დავიმშვიდოთ, რომ ეს უსამართლობა წარსულში დარჩა და, გარდა ამისა, არც ეხებოდა ჩვენს ქვეყანას, არამედ შორეულ ინგლისს. სწორედ ასევე გვამშვიდებდნენ ბავშვობაში, რომ სამოციანელთა მიერ მხილებული ყველა ნაკლი თუ უსამართლობა დიდი ხნის აღმოიფხვრა რუსეთის იმპერიის დამხობასთან ერთად. დღეს კი რევაზ მიშველაძის „ასი ახალი ნოველა" თითქოს არ გვაძლევს ამგვარი დამშვიდების საშუ-

ირინე დემეტრაძე

# ზოგი რამ დამწერლობის შესახებ

**(წერილი პირველი)**

ცნობილია, რომ ენა კაცობრიობის უდიდესი შენაძენია, მისი მდიდარი და მრავალფეროვანი სულიერი კულტურის ქვაკუთხედი. ენა ძირითადად ორი ფუნქციით გვევლინება: აზრის გამოხატვისა და საკომუნიკაციო ფუნქციით. კომუნიკაცია ზეპირი და წერითი საშუალებებით ხორციელდება. ამდენად, გვაქვს ზეპირი და წერითი მეტყველება.

ამ სტატიაში გაგაცნობთ ზოგიერთ საინტერესო ფაქტს დამწერლობის შესახებ.

საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე ადამიანებს გაუჩნდათ მოთხოვნილება აზრებისა და სურვილების შორ მანძილზე გადაცემისა, რაც ზეპირი მეტყველებით ვერ მოხერხდებოდა. გაჩნდა დამწერლობა, როგორც დამხმარე საკომუნიკაციო საშუალება, ბგერითი ენის გრაფიკული გამოსახვა. ადამიანს წერა ერთბაშად არ შეუქმნია. თავდაპირველად იგი მიმართავდა ისეთ საშუალებებს, როგორიცაა:

1. **საგნების სიმბოლიკა.** საგნების საშუალებით ხდებოდა აზრის გადაცემა. ამ გზით გამოიხატებოდა როგორც კონკრეტული, ასევე აბსტრაქტული ცნებები. მაგ. ჰეროდოტე გვამცნობს, რომ, როცა ძველმა ირანელებმა სკვითებს მოსთხოვეს მორჩილება, სკვითებმა მათ გაუგზავნეს ფრინველი, თაგვი, ბაყაყი და ხუთი ისარი, რაც ნიშნავდა: „თუ თქვენ არ ძალგიძთ ფრინველივით ფრენა, მიწაში თაგვივით ძრომა და დამალვა, ჭაობებში ბაყაყივით ხტომა, მაშინ იმედი ნურაფრისა გექნებათ, დაიცხრილებით ჩვენი ისრებით, უკეთუ ფეხს შემოდგამთ სკვითთა მიწაზე".

2. **დაჭდევა** – ჭდის გაკეთება ჯოხზე, უმთავრესად რიცხვის აღსანიშნავად, რასაც, თედო სახოკიას ცნობით, თბილისში XIX საუკუნის 80-იან წლებშიც ხმარობდნენ ვაჭრობაში.

3. **ნასკვებიანი თასმები,** რომლებსაც საანგარიშოდ მიმართავდნენ ირანელები, ჩინელები და სხვა ხალხები.

4. **მხატვრობა.** იგი დამწერლობის ჩანასახია. წინ გადადგმული ნაბიჯი წერისაკენ. ყოველგვარი დამწერლობა წარმოშობილია სტილიზებული ხატვის მანერიდან. იგი იწყება ცხოველის, ადამიანის ან სხვა სურათით. საბოლოოდ მსგავსება საწყის საგანთან უმნიშვნელო ხდება და სურათი იქცევა სიმბოლოდ, რომელიც წარმოადგენს ამა თუ იმ ლინგვისტურ ფორმას. ამ დროისათვის სწრაფი წერა ცვლის ხატვას და ეს იწვევს საწერი მასალის შეცვლასაც. ნაწილობრივ ამან გამოიწვია ისიც, რომ ანბანი არ წარმოიშვა ეგვიპტური იეროგლიფებისგან, რომლებიც დიდი სიფრთხილით იკვეთებოდა ქვაზე. ანბანი წარმოიშვა უფრო სწრაფი ნაწერისაგან, რომელიც პაპირუსზე ლერწმის ფუნჯით სრულდებოდა. ნახატი „ნაწერი" ანუ პიქტოგრამა წერის პირველი საფეხური იყო.

ცნებებისა და აბსტრაქტული აზროვნების განვითარებასთან ერთად ჩნდება ახალი ნაწერის გაჩენის საჭიროება. ესაა იდეოგრაფია – წერა ცნებებით. მართალია, ცნებას ვერ დახატავ, მაგრამ შეიძლება ის ორგანო დახატო, რომლის საშუალებითაც ცნება წარმოიქმნება. ნახატი ამ შემთხვევაში გადატანით მნიშვნელობას იძენს.

წერის დაჩქარების საჭიროებამ განაპირობა ნახატების სქემატიზაცია, მათი გადაქცევა პირობით ნიშნებად – იეროგლიფებად.

დამწერლობის განვითარების ახალი ეტაპი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში დაიწყო. იგი უკავშირდება მთელ რიგ ისტორიულ მოვლენებს.

წერა ხალხისათვის ადვილად მისაწვდომი უნდა გამხდარიყო, რადგან ვაჭრობის, მოგზაურობის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა წერა-კითხვის მცოდნე ადამიანთა რაოდენობაც.

წერის გამარტივების მრავალი ცდა ჩატარდა. მაგ: ჩინურ დამწერლობაში ცრემლების აღსანიშნავად თვალი და წყალი უნდა შეეერთებინათ. ეს გზა ნაკლებად პროდუქტიული აღმოჩნდა.

მეორე გზას გრამატიკასთან მივყავართ. სიტყვის ძირი ერთი იეროგლიფით აღინიშნება, აფიქსები კი დამატებითი იეროგლიფებით. მაგრამ ეს გზა მხოლოდ იმ ენებს ითვალისწინებს, სადაც სიტყვები ძირებად და აფიქსებად იყოფა.

ყველაზე ნაყოფიერი გზაა ფონოგრაფია, სადაც წერა ასახავს არა მხოლოდ ენის გრამატიკულ სტრუქტურას, არამედ მის ფონეტიკასაც. ასეთ ცდებს ჯერ კიდევ ეგვიპტელებმა და ასურელ-ბაბილონელებმა მიმართეს. მათ დაიწყეს რთული სიტყვების ნაწილებად დაშლა და საბოლოოდ ისინი მარცვლებამდე დაიყვანეს. ასე წარმოიშვა ფონოგრაფიის განვითარების პირველი-სილაბური (მარცვლობრივი) ეტაპი.

ფონოგრაფიის განვითარების შემდეგი საფეხურია ძველებრაელთა და ფინიკიელთა დამწერლობა, სადაც ასოები აღნიშნავდნენ ძირების გამომხატველ თანხმოვნებს. მათ შორის მოთავსებული ხმოვნები კი დიაკრიტიკული ნიშნებით აღინიშნებოდა. ამ ეკონომიურ დამწერლობას ეწოდებოდა კონსონანტური (თანხმოვნური).

ფონოგრაფიის განვითარების მწვერვალს ძველმა ბერძნებმა მიაღწიეს, რომლებმაც ფინიკიელებისაგან ისესხეს გრაფიკული ნიშნები, მაგრამ ასოებით აღნიშნეს როგორც თანხმოვნები, ასევე ხმოვნები. ბერძნული ანბანის იონიური რედაქცია იყო პირველი ასო-ბგერითი ანბანი, რომელმაც სათავე დაუდო ლათინურს, სლავურს და სხვათ. ასეთ ანბანთა ასოები არა უბრალოდ ბგერებს გადმოსცემდნენ, არამედ ძირითად ბგერებს – ფონემებს შეესაბამებოდნენ. ამიტომ ისინი ფონემატურებად იწოდებიან. ძველი სემიტური ანბანის საფუძველზე წარმოიშვა არამეული დამწერლობა, რომელიც აღმოსავლეთით უიგურებმა, მონღოლებმა, მანჯურებმა მიიღეს, სამხრეთით კი – არაბებმა და სხვა მაჰმადიანმა ხალხებმა. რომაელებმა, გადაამუშავეს რა ბერძნული ანბანი, მათი ენისათვის შესაფერისი დამწერლობა შექმნეს და იგი რომანულ-გერმანულ ხალხებს გადასცეს.

დღევანდელ მსოფლიოში არსებობს დამწერლობათა შემდეგი სისტემები: ლათინური, სლავური, არაბული, ინდური, ჩინური, იაპონური, კორეული, ეთიოპიური, ბერძნული, ქართული, სომხური, ებრაული, მონღოლური და სირიული.

# თვეთა სახელწოდებანი

თვეთა თანამედროვე სახელწოდებანი ქართულში მისდევს რომაულ კალენდარს, რომელიც ძვ.წ. ა. 44 წელს შემოიღო იულიუს კეისარმა რომის იმპერიაში და იქიდან ევროპასა და მთელ მსოფლიოში გავრცელდა. კალენდართან ერთად დამკვიდრდა თვეების რომაული სახელებიც.

**იანვარი** (ლათ. ianuarius) დარქმეულია მზის მიმოქცევის და დრო-ჟამის ღმერთის – იანუსის – სახელის მიხედვით.

**თებერვალი** (februarius) მნიშვნელობით უკავშირდება განწმენდას. თავდაპირველად „დღე განწმენდისა“ ერქვა ამ თვის მე–15 დღეს, როცა რომაელები მსხვერპლს სწირავდნენ ტყისა და ველმინდვრის ღმერთს, მწყემსთა მფარველ ლუპერკს. შემდგომში ამ დღის სახელწოდება მთელ თვეზე გავრცელდა.

**მარტი** (martius) ნაწარმოებია ომის ღმერთ მარსის სახელისაგან.

**აპრილი** (aprilis) ლათინურად ნიშნავს „სიკეთეს“ და გულისხმობს იმ სიკეთეს, რაც აპრილში ბუნების გამოღვიძებას მოსდევს.

**მაისი** (maius) დაერქვა ამ თვეს ბუნების ღმერთ მაიას სახელის მიხედვით.

**ივნისი** (iunius) დარქმეულია ქორწინებისა და მშობიარობის ღმერთის იუნონას პატივსაცემად.

**ივლისი** (iulius) რომის იმპერატორ იულიუსის დაბადების თვეა და მის პატივსაცემად არის დარქმეული კალენდრის რეფორმის დროს (44 წ. ძვ.წ.ა.). მანამდე მას ერქვა კვინტილის ანუ „მეხუთე“ (ძველი რომაული კალენდრის მიხედვით ახალი წელი მარტში დგებოდა და ივლისი სწორედ მეხუთე თვე იყო).

**აგვისტო** (augustus) მეექვსე თვე იყო და თავდაპირველად მასაც რიგითი ნომერი ჰქონდა (სექსტილის – „მეექვსე“). მაგრამ I საუკუნის დამლევს (ძვ.წ.ა.) რომის სენატის გადაწყვეტილებით მას სახელი შეუცვალეს და იმპერატორ ოქტავიანე ავგუსტუსის პატივსაცემად ავგუსტოსი (აგვისტო) უწოდეს, რაც „დიდებულს“ ნიშნავს. ამავე დროს თებერვალს დააკლეს და აგვისტოს დაუმატეს ერთი დღე, რათა ის დღეთა რაოდენობით ივლისს გატოლებოდა (მანამდე აგვისტო 30-დღიანი თვე იყო).

დანარჩენ თვეებს ბოლომდე შერჩათ რიგის მიხედვით შერქმეული სახელები:

**სექტემბერი** (september) - „მეშვიდე“;
**ოქტომბერი** (oktober) - „მერვე“;
**ნოემბერი** (november) - „მეცხრე“;
**დეკემბერი** (december) - „მეათე“.

ლათინურიდან მომდინარე ეს სახელწოდებანი დღეს მთელი მსოფლიოს კულტურულ ხალხთა ენებში არის დამკვიდრებული (რა თქმა უნდა, თითოეული ენის ბუნებიდან გამომდინარე ფონეტიკური ცვლილებებით). ქართულში ეს სახელები VII საუკუნიდან გვხვდება. მათი შეცვლა და ვითომ „გაქართულება“, ვფიქრობთ, არ არის საჭირო და სასურველი, მით უფრო, რომ ძველ სახელწოდებათა უმეტესობაც არ არის წმინდა ქართული და წარმოშობით ირანულ და სომხურ ენებს უკავშირდება, როგორც ეს გარკვეულია აკად. კორნელი კეკელიძის მიერ. ისე კი, რა თქმა უნდა, სასურველია ჩვენმა ახალგაზრდობამ თვეების ეს ძველი სახელებიც იცოდეს:

1. აპანი, აპნისი; 2. სურწყუნისი, სურწყნისა; 3. მიჰრაკანი, მიჰრკანი, მირკანი; 4. იგრიკა; 5. ვარდობისთვე, ვარდობისა; 6. მარიალი; 7. თიბათვე, თიბისა; 8. ქუელითობისა, მკათათვე; 9. ახალწლისა, ენკენისთვე, ეკენისთვე; 10. სთულისა, რთვლისა, მწიფობისთვე, ღვინობისთვე, მარიამობისთვე; 11. ტირისკანი, გიორგობისთვე; 12. ტირისდენი, ქრისტეშობისთვე, ქრიშობისთვე.

გარდა ამისა, თვეებს ძველ ქართულშიაც უნდა ჰქონოდათ რიგის მიხედვით დარქმეული სახელები, მაგრამ ისინი არ შემოგვრჩა. სამაგიეროდ, ორი ასეთი სახელწოდება შემოგვინახა ძველმა სომხურმა ენამ. სადაც ნავასარდის (ახალწლისას) მომდევნო თვეების სახელად გვხვდება **ჰორი** და **საჰმი**. ცნობილი სომეხი მეცნიერის ჰ. აჭარიანის აზრით, ეს არის იგივე ქართული ორი და სამი, რომლებიც ძველ სომხურს უსესხნია თვეების სახელებად.

## მტერობა ენის...

# ფრთხილად, დიქტორებო, გისმენენ და გზაძავენ!..

უდავოა, რომ „მასმედია“ საზოგადოებაზე ზემოქმედების ერთ-ერთი მძლავრი მექანიზმია. არც ისაა საკამათო, რომ „მომხმარებელი“ (მკითხველი თუ მსმენელი) პრესის ენის მნიშვნელოვან გავლენას განიცდის. სწორედ ამიტომაა ჟურნალისტებისათვის აუცილებელი მშობლიური ენის ღრმა, კვალიფიციური ცოდნა და იმის ბოლომდე გააზრება, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს სიტყვისადმი მათ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას.

ქართულ პრესას არაერთხელ უსაყვედურეს ეროვნული ენისადმი არაპროფესიონალური და უგულისყურო დამოკიდებულების გამო. ჩვენი წერილი კი მოკრძალებული თხოვნაა პრესის მესვეურთა და რიგითი ჟურნალისტებისადმი, ნუ დაგვიმახინჯებთ ქართულს ჩვენს მომავალ თაობას.

ამჯერად გვინდა ყურადღება შევაჩეროთ ბოლო პერიოდში ტელევიზიასა და განსაკუთრებით დამოუკიდებელ რადიოარხებში გავრცელებულ მეტყველების სტილზე. გარდა იმისა, რომ მათ გადაცემებსა თუ სარეკლამო რგოლებში მრავლად შეხვდებით უცხოენოვან სინტაქსურ კონსტრუქციებს, ქართული ენის გრამატიკული ნორმების სრული იგნორირების ნიმუშებს, ახლადდამკვიდრებულ (ან ბოლომდე ვერდამკვიდრებულ) ბარბარიზმებს („აისი“ (ნაყინი), „ჯუსი“ (წვენი), „რეილი“ - „ჩამორეილებული“ (ჩამოვარება, ჩამოვარებული) და სხვა, მეტად უარყოფითად აღიქმება მათი მეტყველების მანერა.

როგორც აღვნიშნეთ, ამ მხრივ ძალზე ცუდი მდგომარეობაა დამოუკიდებელ რადიოარხებში. საკმარისია მოუსმინო ერთ-ერთი ამ არხის გადაცემას და ყურში მოგხვდება წამყვანთა ვულგარულობამდე დასული გამონათქვამები, და მათივე ენებიანი (სხვა სიტყვა ვერ შევარჩიეთ) ხმა კბილის პასტისა თუ ლუდის რეკლამის გამოცხადებისას, ბინების ყიდვა-გაყიდვისა თუ კერძო საბავშვო ბაღების ფუნქციონირების შესახებ ინფორმაციის გავრცელების დროს.

სრულიად ზედმეტია უადგილო ლოგიკურ-ინტონაციური მახვილები, ხელოვნურად გაკეთებული აქცენტები, სალიტერატურო ქართულისათვის არაბუნებრივი გრძელი ხმოვნები, ამერიკული ელფერით წარმოთქმული თანხმოვნები.

გასაგებია, რომ გადაცემის ავტორებსა და წამყვანებს პროფესიულობის, არატრადიციულობის იმიჯის დამკვიდრება სურთ, მაგრამ რადიოსაქმეში ახალი სიტყვის თქმა სულაც არ ნიშნავს უსარგებლო ახალი სიტყვებისა და მეტყველების არაბუნებრივი მანერის დამკვიდრებას. ეს, ასე ვთქვათ, „ამერიკული“ ქართული, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, გემოვნებიან მსმენელში ვერანაირ კონკურენციას ვერ უწევს ცნობილ დიქტორთა და კომენტატორთა სადა, დახვეწილ ქართულს, მაგრამ სავალალო ის არის, რომ ზემოჩამოთვლილი გადაცემების მსმენელთა უმეტესობა მოზარდები არიან, ისინი, ვინც ჯერ კიდევ ვერ ერკვევიან კარგად მშობლიური ქართულის სიღრმეებში. ჩვენი ვალია, არ დავუმახინჯოთ მათ თავისი უმშვენიერესი დედაენის სწორად აღქმისა და სიყვარულის უნარი.

ქეთევან გოჩიტაშვილი



# ანბანი



*თბილისის VI გიმნაზიის III კლასის მოსწავლეებს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ქალბატონმა ირინე დანელიამ ერთი „უჩვეულო" დავალება მისცა: ბავშვებს უნდა მოეგონებინათ ანდაზები. მოსწავლეებმა დავალება დიდი მონდომებით შეასრულეს. გთავაზობთ რამდენიმე ნიმუშს. ვფიქრობთ, მათი გაცნობა ჩვენი მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება.*

## მოვუსმინოთ პატარებს

რაც უფრო მეტი კაი ყმაა დედამიწაზე, მით უფრო კარგია (**ნინო გიგაური**).

ბიჭი თუ კაი ყმა არის, დედას უთხარი მადლობა (**საბა იორდანიშვილი**).

კეთილშობილს ღმერთი უყვარს, ღმერთს კი – კეთილშობილი (**სოფო ქოიავა**).

ბევრ შებრალებას ცოტა დახმარება სჯობია (**ფარნა მენთეშაშვილი**).

ვაჟკაცი ორ ზღვენსაც მოერევაო (**ნიკა ერგემლიძე**).

თუ მეგობარს მიუტევებ, აღარ დაკარგავ (**ხათუნა ზარიძე**).

ჯობია გყავდეს ერთი ვაჟკაცი ამხანაგი, ვიდრე ათი მშიშარა (**გიორგი ელენტი**).

კეთილშობილებას სიკეთე მოსდევს, სიკეთეს – კეთილშობილება (**ნუცა ქურდაძე**).

თუ ქალს ეხუტები და დაამარცხებ, შენი თავი დიდი არ გეგონოსო (**სანდრო ინაშვილი**).

ვინც ვაჟკაციაო, მართლა კაციაო (**თამთა მოხევიშვილი**).

კაცს მეგობარი თუ არ ჰყავს, არაფერი ეშველება (**თამარ მიქაბერიძე**).

## მოსწრებული სიტყვა

### ვექილის პასუხი



ერთ-ერთ სასამართლოში პატარა ტანის ვექილი შემოვიდა. მოსამართლემ ჰკითხა:

– თქვენ ვინ ბრძანდებით?

– ვექილი გახლავართ.

– ისეთი პატარა ხართ, რომ შემიძლია ჯიბეში დაგმალოთ.

– მაშინ ჯიბეში უფრო მეტი ჭკუა გექნებათ, ვიდრე თავში! – უპასუხა ვექილმა.

### ამაო დარიგება



– ბიჭო, ვანო, თუ ღმერთი გწამს, ჭკუაში ჩავარდი, სულ ვალების ალება ღუპავს ადამიანს,- უთხრა ბიძამ ძმისწულს.

– არა, ბიძაჩემო, ვალების ალება კი არა, გადახდა ღუპავს ადამიანს! – უპასუხა ძმისწულმა.

### უცნაური დავალება



ერთი ფილოსოფოსი სახლს იშენებდა. შეუკვეთა, იატაკი მაღლა მოექციათ და ჭერი – დაბლა. როდესაც ასეთი უცნაური დავალების მიზეზი ჰკითხეს, ფილოსოფოსმა უპასუხა:

– ცოლის შერთვას ვაპირებ და სულ ერთია, მაინც გადააბრუნებს.

### მოხერხებული მყიდველი



ერთმა ვაჭარმა მოსამსახურეს ორი შაური მისცა და უთხრა:

– აჰა, ორი შაური; წადი, ისეთი რამ მოყიდე, მეც ვჭამო, ცხენსაც ვაჭამო და დავთესო კიდევაც.

მოსამსახურემ საზამთრო მოუტანა და უთხრა:

– გული შენ ჭამე, ქერქი ცხენს აჭამე და მარცვლები დათესე.

*პ. უმიკაშვილი, „ხალხური სიტყვიერება", ტ. II, 1964.*

ნახატები ბ. ლაშხისა




ХВ